დაწართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

შეფასების თარიღ(ებ)ი: 09-10.09.2026.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.10.2026.

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 13

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 16

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 16

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 34

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 42

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 44

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 57

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დრაგან ჰრნიჩი, ბელგრადის უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, სერბეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ზურაბიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გულნაზი მაღრაძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	**One - Cycle MD (Medical Doctor) program (In English)**
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მედიცინის ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**დიპლომირებული მედიკოსი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	30

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამა ანიჭებს დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციას. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის და უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის საერთო მოცულობა 360 კრედიტს შეადგენს, რომელიც მოიცავს სავალდებულო (348 კრედიტი) და არჩევით (12 კრედიტი) კურსებს. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგად კურსებს, მედიცინის შესავალს, პრეკლინიკურ და კლინიკურ მეცნიერებებს, კლინიკურ უნარებს, კვლევის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტებს. სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრესიას საბაზისო ბიოსამედიცინო ცოდნიდან პრეკლინიკური განათლების გავლით კლინიკურ და პროფესიულ კომპეტენციებამდე.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული და შეესაბამება თანამედროვე სამედიცინო განათლების მოთხოვნებს. კურსდამთავრებულის დაგეგმილი პროფილი მოიცავს ბიოსამედიცინო და კლინიკურ ცოდნას, პრაქტიკულ და კლინიკურ უნარებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას, კომუნიკაციას, კვლევით კომპეტენციებს, ეთიკურ და პროფესიულ პასუხისმგებლობას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მოცულობას, სტრუქტურას და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების სილაბუსები, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმის რუკები, შეფასების დოკუმენტაცია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და შესაბამისი ინსტიტუციური მასალები.

2026 წლის 9 - 10 სექტემბერს ჩატარებულმა ვიზიტმა ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია გადაემოწმებინა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, აკადემიურ და კლინიკურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურას, სწავლება-სწავლის მიდგომებს, შეფასების მექანიზმებს, პრაქტიკულ და კლინიკურ მომზადებას, კვლევით შესაძლებლობებს, სტუდენტების მხარდაჭერას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მზაობას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე კლინიკის როგორც სასწავლო ბაზის, ასევე უნივერსიტეტის სასწავლო ობიექტები, შენობების, აღჭურვილობის და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ხელმისაწვდომი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა და რესურსები, მათ შორის სიმულაციური და საგანმანათლებლო სივრცეები, ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები, ასევე შეაფასეს აკადემიური და სამეცნიერო განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები.

შეფასების მნიშვნელოვან შინაარსობრივ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამჟამად მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის დიზაინი, ინსტიტუციური მზაობა და დაგეგმილი მექანიზმები, თუმცა ვერ შეფასდა მათი ეფექტიანობა სტუდენტების მიღწევებზე, მათ უკუკავშირზე, კურსდამთავრებულთა შედეგებზე ან პროგრამის გრძელვადიან მონაცემებზე დაყრდნობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას გააჩნია მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის განხორციელების სათანადო და თანმიმდევრული აკადემიური და ორგანიზაციული საფუძველი.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება ერთმანეთს და მოიცავს მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის აგებული და აჩვენებს პროგრესიას საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებებიდან პრეკლინიკური განათლების გავლით კლინიკურ და პროფესიულ კომპეტენციებამდე. კურსების შინაარსი, სწავლის შედეგები, სწავლების მიდგომები და შეფასების მეთოდები სათანადოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო სასწავლო გეგმის რუკა იძლევა ცალკეული კურსების წვლილის მონიტორინგის საშუალებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ექსპერტები დადებითად აფასებენ პროგრამის ყოვლისმომცველ სტრუქტურას, მათ შორის ბიოსამედიცინო, კლინიკური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების, ეთიკის, კვლევის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის ინტეგრაციას. მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტების, მათ შორის OSCE/OSPE - ის, Mini - CEX - ის, DOPS - ის, CBD - ის, პორტფოლიოების და ჟურნალების გამოყენება ქმნის კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების საფუძველს.

პროგრამის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. გათვალისწინებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მიდგომები, პროგრამის გაუმჯობესებისთვის მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და მიგნებების გამოყენების მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისი კოლეგიური ორგანოების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, კლინიკური პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დადებითი ელემენტი სტუდენტების შეფასების და აკადემიური ხარისხის ჩარჩოში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან კურსის მოთხოვნების და შეფასების პროცედურების შესახებ, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პლაგიატის პრევენციის მექანიზმები, მათ შორის Turnitin - ის გამოყენება, ასევე გამჭვირვალე გასაჩივრების პროცედურები და საგამოცდო საკითხების ბანკი. ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირება და სტუდენტებისგან და

აკადემიური პერსონალისგან უკუკავშირის რეგულარული შეგროვება ხელს უწყობს ინსტიტუციური ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას.

მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება საკანონმდებლო და დარგობრივ მოთხოვნებს. დაშვების მოთხოვნებში გათვალისწინებულია აკადემიური მომზადება, სამეცნიერო წინაპირობები, ინგლისური ენის ცოდნა და აპლიკანტების უფლებამოსილების გადამოწმების პროცედურები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დადებითად შეაფასა უნივერსიტეტის საერთაშორისო ორიენტაცია, მათ შორის Erasmus+ - ის შესაძლებლობები, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობა და საერთაშორისო კვლევით და კლინიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. სტუდენტებს აქვთ წვდომა EBSCO - სა და სხვა სამეცნიერო რესურსებზე, ხოლო უნივერსიტეტი მათ სთავაზობს კვლევით პროექტებს და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობებს.

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე მიმართულება, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას, კერძოდ, სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ პროგრამის განხორციელებასთან და ეფექტიანობის თვალსაჩინოებასთან დაკავშირებით. ძირითადი საკითხები ეხება პრაქტიკული, კლინიკური, კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების სისტემურ განვითარებას და შეფასებას, შეფასების ინსტრუმენტების და კრიტერიუმების გამოყენების თანმიმდევრულობას, პროგრამის სტუდენტების უშუალო ჩართულობას სამედიცინო და ბიოსამედიცინო კვლევებში და პროგრამაში საერთაშორისო მობილობის და კვლევითი შესაძლებლობების სისტემურ ინტეგრირებას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას დანერგილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობის სრულად დადასტურება შეუძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. შესაბამისად, სამომავლო მონიტორინგი უნდა მოიცავდეს მტკიცებულებებს სტუდენტების მიღწევების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის და გაუმჯობესების ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ.

საერთო ჯამში, დასტურდება პროგრამის მზაობა მისი აკადემიური დიზაინის, სასწავლო გეგმის სტრუქტურის, ინსტიტუციური პროცედურების და დაგეგმილი რესურსების თვალსაზრისით, ხოლო პროგრამის ამოქმედების შემდგომ, რამდენიმე ასპექტი საჭიროებს სისტემურ განხორციელებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონიტორინგს.

რეკომენდაციები

შეფასების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავდეს მკაფიო, გაზომვადი, პროგრამის დონის სამიზნე ნიშნულები ან მიღწევის ზღვრები და დაინერგოს შეფასების შედეგების შეგროვების, მიღწევების განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან შედარების, გამოვლენილი ხარვეზების და ძლიერი მხარეების დოკუმენტირების და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემური პროცესი. აღნიშნული პროცესის შედეგები უნდა აისახოს პროგრამის პერიოდულ შეფასებაში და ეცნობოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.
- რეკომენდებულია, პროგრამის დონეზე შემუშავდეს და დოკუმენტურად განისაზღვროს სტუდენტთა პრაქტიკული, კლინიკური, კვლევითი და ტრანსფერული უნარების ეტაპობრივი

განვითარების მექანიზმი, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს კავშირს უნარებს, პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების კონკრეტულ ინსტრუმენტებს შორის.

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ უნდა უზრუნველყოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სისტემური ჩართულობა სამედიცინო და ბიოსამედიცინო კვლევებში, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შეფასების არსებული ინსტრუმენტების თანმიმდევრული და ერთგვაროვანი გამოყენება, შეფასების მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა და მონაცემთა ანალიზი პრაქტიკულ და კლინიკურ კომპეტენციებთან დაკავშირებით სტუდენტების პროგრესის გამოსავლენად და დასადასტურებლად.
- რეკომენდებულია, საერთაშორისო მობილობის და კვლევითი თანამშრომლობის არსებული შესაძლებლობები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს მედიცინის პროგრამას და შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაცვლით, კვლევით და აკადემიურ აქტივობებში აღნიშნული პროგრამის სტუდენტების რეგულარულ მონაწილეობას.
- რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის დონეზე უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების ნატელი ურთიერთშესაბამისობა, შესაბამისი მატრიცებისა და დოკუმენტირებული დასაბუთების გამოყენებით.
- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედების შემდგომ, ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში, სისტემატურად შეფასდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ეფექტურობა სტუდენტთა მიღწევების, შეფასების შედეგების, სტუდენტთა უკუკავშირის, აკადემიური/კლინიკური პერსონალის შეფასებებისა და სხვა რელევანტური მტკიცებულებების საფუძველზე. მიღებული მიგნებები გამოყენებული იყოს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.
- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედების და სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტმა სისტემურად გააანალიზოს სტუდენტების უკუკავშირი, აკადემიური პროგრესი და სწავლის შედეგების მიღწევის მონაცემები, ხოლო აღნიშნული მიგნებები ასახოს პროგრამის განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებში.
- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედებისთანავე შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების მონიტორინგისა და მათი ეფექტურობის შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულფასოვან ფუნქციონირებას.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარე შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგი. უნივერსიტეტმა თითოეული რეკომენდაციისთვის უნდა განსაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადა და შედეგის გაზომვადი ინდიკატორები. აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს პროგრამის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში და უნდა განხორციელდეს მისი პერიოდული გადახედვა.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო შედარებითი ანალიზის შედეგების მტკიცებულებებზე დაფუძნებული გამოყენება. შედარება უნდა განხორციელდეს კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა სწავლის შედეგები, კურიკულუმის სტრუქტურა, შეფასების სისტემა, კლინიკური სწავლება და სტუდენტთა მხარდაჭერა. გამოვლენილი განსხვავებები კი უნდა აისახოს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო, რომელში განსაზღვრული იქნება მკაფიო ინდიკატორები, მონაცემთა წყაროები, პასუხისმგებლობები, ვადები და გაუმჯობესების ქმედებების დოკუმენტირების და მონიტორინგის პროცედურები.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტმა სისტემატურად შეაგროვოს და გააანალიზოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და კლინიკური პარტნიორებისგან მიღებული მონაცემები და მტკიცებულებები და წარმოაჩინოს, თუ როგორ აისახება მიღებული მიგნებები პროგრამის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებში. განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა შემდგომში უნდა შეფასდეს დოკუმენტირებული უკუკავშირის მექანიზმის გამოყენებით, რათა მონიტორინგი წარმოადგენდეს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინფორმაციის პერიოდული შეგროვებით.

რჩევები

დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევები შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

- სასურველია, გადაიხედოს ცალკეული სწავლის შედეგების ფორმულირება, იმისათვის, რომ ყველა დებულება გამოხატული იყოს თანმიმდევრულად დაკვირვებადი და გაზომვადი სამოქმედო ზმნებით, განსაკუთრებით ცოდნის და პროფესიული პასუხისმგებლობის მიმართულებებში.
- სასურველია, დაიხვეწოს პროგრამის დონეზე შეფასების მონაცემების შეგროვების და ანალიზის სისტემური მიდგომა, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს, უფრო მკაფიოდ აჩვენოს, თუ რამდენად აღწევენ კურსდამთავრებულები პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და აღნიშნული მიგნებები გამოიყენოს სასწავლო გეგმის განვითარებისათვის.
- გაუმჯობესების დახურული ციკლის მნიშვნელობის ჩვენება. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დოკუმენტირება გამოვლენილი შეფასების მიგნებებს, შეთანხმებულ გაუმჯობესების ღონისძიებებს, მათი განხორციელების და ეფექტიანობის შემდგომ შეფასებას შორის კავშირის სისტემური აღწერით. აღნიშნული უზრუნველყოფს უფრო მკაფიო მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს განხორციელებული ცვლილებები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე.
- შეფასების მტკიცებულებების შემდგომი ჯვარედინი გადამოწმება. სასურველია, პროგრამის ფარგლებში განვითარდეს პირდაპირი შეფასების შედეგების ჯვარედინი გადამოწმება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, კლინიკური ზედამხედველების და დამსაქმებლების უკუკავშირის შესაბამისად, განსაკუთრებით პროფესიული კომპეტენციების, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და კლინიკური მზაობის მიმართულებით. აღნიშნული უზრუნველყოფს მტკიცებულებების ყოვლისმომცველ ბაზას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად.
- სასწავლო გეგმის ინტეგრაცია. სასურველია, სასწავლო გეგმაში ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის უფრო მკაფიო წარმოჩენით გაძლიერდეს საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებების ინტეგრაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ფუნდამენტური სამეცნიერო ცნებები ხელახლა არის განხილული და გამოყენებული შემდგომ კლინიკურ მოდულებში.

- სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვის მონიტორინგი. სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სტუდენტების დატვირთვის მონიტორინგი სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილების, დაგეგმილი სასწავლო აქტივობების და სტუდენტების უკუკავშირის სისტემური გაერთიანებით. აღნიშნული გამოავლენს გადაჭარბებული დატვირთვის შესაძლო პერიოდებს და ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრობის შემდგომ ოპტიმიზაციას.
- არჩევითი კომპონენტი. სასურველია, პროგრამაში დაიხვეწოს არჩევითი კომპონენტი, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა შეიძინონ დამატებითი ცოდნა ინდივიდუალური აკადემიური ან პროფესიული ინტერესების შესაბამისად, განსაკუთრებით მედიცინის განვითარებად მიმართულებებში, კვლევაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და ინტერდისციპლინურ პრაქტიკაში, პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის შენარჩუნებით.
- სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსების დატვირთვის სისტემატური მონიტორინგი. სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს სტუდენტების რეალური დატვირთვის სისტემატური შეფასება განსაზღვრულ კრედიტებთან მიმართებით, სტუდენტების უკუკავშირთან და კურსის მიღწევის ინდიკატორებთან დატვირთვის მონაცემების რეგულარული შეჯერებით. მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტების განაწილების და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ბალანსის ოპტიმიზაციისთვის.
- სასურველია სისტემატურად განახლდეს სასწავლო რესურსები. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაინერგოს სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვის პროცესი, მათ შორის გამოვლენილ იქნეს მოძველებული წყაროები და განხორციელდეს მათი ჩანაცვლება უახლესი სახელმძღვანელოებით, კლინიკური გაიდლაინებით, სისტემატური მიმოხილვებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სხვა ავტორიტეტული რესურსებით.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის დონეზე ცალკეული სასწავლო კურსების წვლილის ანალიზი. პროგრამის ფარგლებში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას ცალკეული კურსების ერთობლივი წვლილის შესახებ პროგრამის სწავლის შედეგების დაფარვის, განმტკიცების და შეფასების მიმართულებით, რაც გამოავლენს არასაკმარისი ან გადაჭარბებული წარმოდგენის შესაძლო სფეროებს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა მოდულის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნული უზრუნველყოფს მოდულში შემავალი ყველა კურსის დაბალანსებულ და ეფექტურ შესწავლას, თავიდან აიცილებს რომელიმე კონკრეტული კომპონენტის უგულებელყოფას და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უფრო სრულყოფილად მიღწევას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ან უზრუნველყოს ვირტუალური OSCE სადგურების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ციფრული ინფრასტრუქტურისა და პროცედურების შემუშავება და მათი გამოყენება შეზღუდოს მხოლოდ იმ კომპეტენციების შეფასებით, რომელთა დემონსტრირებაც შესაძლებელია ციფრულ გარემოში, ან ჩაანაცვლოს 2 (ორი) ვირტუალური სადგური ფიზიკური სადგურებით, რათა OSCE-ის დასკვნით გამოცდაზე თითოეული კომპეტენციის შეფასება იყოს ვალიდური და სანდო.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს და გაამრავალფეროვნოს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომი იყოს თანამედროვე კვლევითი რესურსები და ლიტერატურა.

- სასურველია, შემუშავდეს ბიუჯეტის ალტერნატიული სცენარები სტუდენტთა დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით ჩარიცხვის შემთხვევისთვის, რადგან პროგრამის ბიუჯეტი შემოსავლის მხოლოდ ერთ წყაროს (სწავლის საფასურს) ეფუძნება.

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს და საფუძვლიანად შეისწავლეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შეფასების შედეგად, ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულება ავლენს რეკომენდაციების და რჩევების შესრულების უნარსა და მზაობას და რომ მასში ფაქტობრივი შეცდომები არ გამოვლენილა. ასევე დადგინდა, რომ ერთი რეკომენდაცია (რომელიც თავდაპირველად მეექვსე პუნქტად იყო წარმოდგენილი) უკვე შესრულებულია.

საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

რაოდენობრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მხარდაჭერილია საკმაოდ ფართო აკადემიური რესურსებით და სასწავლო ბაზით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ჯამში 71 პირი, მათ შორის 35 აკადემიური პერსონალი, 8 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 36 მოწვეული პერსონალი. ძირითადი აკადემიური პერსონალი შედგება 5 პროფესორის, 15 ასოცირებული პროფესორისა და 15 ასისტენტ - პროფესორისგან, ხოლო აფილირებულ აკადემიურ პერსონალში შედის 1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი. გარდა ამისა, ინსტიტუციურ დონეზე მითითებულია 43 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

ვინაიდან ამჟამად პროგრამაზე არ ირიცხებიან სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო თანაფარდობის გამოთვლა ან შინაარსობრივი ინტერპრეტაცია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მითითებული თანაფარდობა დაახლოებით 0.97:1 - ია, რაც სწავლების უზრუნველყოფაში მიუთითებს მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვან წვლილზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებლი 100%-ია.

ხელმისაწვდომი კვლევითი ინდიკატორები ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის დამკვიდრებულ კვლევით აქტივობას. მითითებული შედეგები მოიცავს 194 პუბლიკაციას ადგილობრივ ჟურნალებში და 207 პუბლიკაციას საერთაშორისო ჟურნალებში, ასევე 72 მოხსენებას ადგილობრივ კონფერენციებზე და 130 მოხსენებას საერთაშორისო კონფერენციებზე. დამატებით მითითებულია კიდევ 117 სამეცნიერო / კვლევითი აქტივობა ან ინდიკატორი. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს აქტიურ აკადემიურ და კვლევით გარემოს, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კვლევაზე ორიენტირებული კომპონენტების განხორციელებას.

საერთო ჯამში, რაოდენობრივი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროგრამას აქვს წვდომა მნიშვნელოვან აკადემიურად კვალიფიციურ სასწავლო ბაზაზე, რომელსაც მხარს უჭერს აფილირებული და მოწვეული პერსონალი და დამკვიდრებული კვლევითი გარემო. თუმცა, ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, არ არის ხელმისაწვდომი რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც ეხება სტუდენტების და პერსონალის თანაფარდობას, სტუდენტების პროგრესს, პროგრამის დასრულებას, აკადემიურ მიღწევებს, კურსდამთავრებულთა შედეგებს და სტუდენტების კმაყოფილებას. აღნიშნული ინდიკატორების მონიტორინგი სისტემატურად უნდა განხორციელდეს პროგრამის ამოქმედების შემდეგ, რაც უნდა გახდეს პროგრამის პერიოდული შეფასების და ხარისხის გაუმჯობესების პროცესების ნაწილი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერის სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტჩილად შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და შეესაბამება სამედიცინო განათლების სპეციფიკას და დონეს.

პროგრამის მიზნები სათანადოდ ასახავს სამედიცინო განათლების სპეციფიკურ მოთხოვნებს და მოიცავს ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური ცოდნის, პრაქტიკული და კლინიკური უნარების, კლინიკური აზროვნების, კომუნიკაციის, კვლევითი კომპეტენციების და პროფესიული ღირებულებების პროგრესულ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას, ეთიკურ პრაქტიკას, პაციენტის უსაფრთხოებას, პაციენტის უფლებების და კონფიდენციალურობის პატივისცემას და ეფექტიან კომუნიკაციას ჯანდაცვის მრავალფეროვან გარემოში.

მიზნები უზრუნველყოფენ თანმიმდევრულ პროგრესიას ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებებიდან კლინიკურ განათლებამდე და პროფესიული სამედიცინო პრაქტიკისთვის მომზადებას. ისინი ასევე მოიცავენ ტრანსფერულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კომპეტენციებს, მათ შორის გუნდურ მუშაობას, სამედიცინო ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას, კვლევით უნარებს, თვითშეფასებას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

პროგრამის ინგლისურენოვანი ფორმატი სათანადოდ არის ასახული მის მიზნებში, განსაკუთრებით საერთაშორისო სამედიცინო ლიტერატურასთან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რესურსებთან და თანამედროვე საერთაშორისო პროფესიულ და კლინიკურ სტანდარტებთან წვდომის აქცენტირებით. აღნიშნული ორიენტაცია შესაბამისია, ვინაიდან პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ გარემოში მონაწილეობისთვის.

მიზნებში ასევე ნაჩვენებია სათანადო საზოგადოებრივი ორიენტაცია. ისინი ითვალისწინებენ ისეთი ექიმების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ დაავადებათა პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობას და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შენარჩუნებით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს და საჭიროებებს, რაც დასტურდება ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით და ვიზიტის ფარგლებში შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებით. თუმცა, პროგრამის მიზნები არ იძებნება დაწესებულების ვებ - გვერდზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოა, ყოვლისმომცველია და შეესაბამება პროგრამის დონეს და პროფილს. ისინი სათანადოდ განსაზღვრავენ კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და პროფესიულ კომპეტენციებს და ითვალისწინებენ კვალიფიციური და სოციალურად პასუხისმგებელი სამედიცინო პროფესიონალების მომზადებას.

მტკიცებულებები

- ადგილზე ვიზიტი;
- მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური საგნების ჩამონათვალი;
- კლინიკური სწავლების კომპონენტების აღწერა;
- სიმულაციური და კლინიკური უნარების სწავლების მასალები;
- პროფესიონალიზმის, სამედიცინი ეთიკის და კომუნიკაციის კომპონენტების სილაბუსები;
- კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები / მემორანდუმები;
- კლინიკური ბაზების წარმომადგენლების და დამსაქმებლების უკუკავშირი;
- პროგრამის განვითარების და განხილვების ოქმები;
- შედარებითი ანალიზი ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებთან;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა.

[რეკომენდაციები]().

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადგილზე ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდა არის განსაზღვრული და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და სამედიცინო განათლების თავისებურებებს.

სწავლის შედეგები სათანადოდ მოიცავს დიპლომირებული მედიკოსისგან მოსალოდნელ ძირითად მიმართულებებს, მათ შორის ბიოსამედიცინო, კლინიკურ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეთიკურ და სამართლებრივ ცოდნას, ასევე კლინიკურ, კომუნიკაციის და კვლევის უნარებს. მათში ასევე მკაფიოდ არის ასახული პროფესიული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ შორის პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, ეთიკური ქცევა, რეფლექსიური პრაქტიკა, გუნდური მუშაობა და უწყვეტი პროფესიული განვითარება. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის და მედიცინის პროგრამის კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი პროფესიული კომპეტენციების გათვალისწინებით.

ექსპერტების მოსაზრებით, სწავლის შედეგები ფორმულირებულია დაკვირვებადი და შეფასებადი ფორმით. გამოყენებულია მოქმედებაზე ორიენტირებული ფორმულირებები, როგორიცაა „ახორციელებს“, „უზრუნველყოფს“, „ამოიცნობს და მართავს“, „ნიშნავს“, „ასრულებს“, „ატარებს“ და „იყენებს“, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიღწევების შეფასებას. პროგრამის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები, ჩექლისტები და კომპეტენციის მინიმალურ ზღვრები. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მათგან მოსალოდნელი ცოდნის, უნარების და პროფესიული კომპეტენციების მიღწევის შეფასების სათანადო ჩარჩოს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და მასზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები, შემუშავებული შეფასების ჩარჩო იძლევა იმის საფუძველს რომ, პროგრამის განხორციელების შემდეგ დადასტურდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგების გაზომვადობა და მიღწევადობა.

სწავლის შედეგები აჩვენებენ ლოგიკურ პროგრესიას ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნიდან კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების და პროფესიული კომპეტენციების განვითარებისკენ. 12 სემესტრიანი, 360 კრედიტის მოცულობის სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია პროგრესულად და მოიცავს საბაზისო სამედიცინო განათლებას და მის შესავალს, პრეკლინიკურ განათლებას, ძირითად კლინიკურ კურსებს და მოწინავე კლინიკურ განათლებას. პირველი ორი წელი წარმოადგენს მედიცინის შესავლის ფაზას და უზრუნველყოფს ბიოსამედიცინო მეცნიერებების ინტეგრირებულ საფუძველს. მეხუთე და მეექვსე სემესტრები ქმნიან პრეკლინიკურ ფაზას, რომელიც ფოკუსირებულია დაავადების მექანიზმებზე და დიაგნოსტიკურ მიდგომებზე. სტუდენტი კლინიკურ განათლებას იღებს მეოთხე და მეხუთე წლებშიც, ხოლო მეექვსე წელი მოიცავს მოწინავე კლინიკურ კურსებს და ინტერნატურას. აღნიშნულ პროგრესიას ავსებს კლინიკური უნარების, კვლევის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალური კომპონენტები.

პროგრამა ასევე აჩვენებს როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ინტეგრაციას. მაგალითად, პირველ ორ აკადემიურ წელს სტრუქტურული სისტემები აერთიანებს ანატომიას, ჰისტოლოგიას და ვიზუალიზაციას, ხოლო ფუნქციური სისტემები ფიზიოლოგიას და ბიოქიმიას. ნეირომეცნიერება აერთიანებს სენსორულ ფიზიოლოგიას, ქცევით მეცნიერებებს და ბიოქიმიას. მეოთხე სემესტრში „კლინიკური კორელაციები I“ უზრუნველყოფს მკაფიო გადასვლას ბიოსამედიცინო ცოდნიდან კლინიკურ გამოყენებაზე. ანალოგიურად, მეხუთე და მეექვსე სემესტრებში ინტეგრირებულია მიკრობიოლოგია, ფარმაკოლოგია, პათოლოგია და დიაგნოსტიკური მეთოდები, ხოლო „კლინიკური კორელაციები II“ ხელს უწყობს კლინიკური აზროვნებაზე გადასვლას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროგრესია შეესაბამება სამედიცინო კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.

ექსპერტებმა სპეციალურად შეისწავლეს შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებსა და მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულ ძირითად კომპეტენციის სფეროებს შორის. პროგრამის დოკუმენტაცია იძლევა აღნიშნული შესაბამისობის მტკიცებულებას.

პაციენტთან კონსულტაციის და კომუნიკაციის კომპეტენცია ასახულია პროგრამის მე - 6 სწავლის შედეგში, რომელიც მოითხოვს პაციენტებთან, მათ ოჯახებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან კომუნიკაციას და პაციენტის შეფასების განხორციელებას, ასევე მე-12 და მე-13 სწავლის შედეგებში, რომლებიც ეხება თანამშრომლობას, რეფლექსიურ პრაქტიკას, პროფესიულ პასუხისმგებლობას, ემპათიას, სამართლიანობას და ეთიკურ ქცევას. აღნიშნული კომპეტენციები ვითარდება კომუნიკაციის უნარების, ბიოეთიკის, შემთხვევაზე დაფუძნებული და როლური აქტივობების, გუნდური მუშაობის და ეტაპობრივად კლინიკური და პაციენტის საწოლთან სწავლების მეშვეობით. კლინიკური სწავლების წლებში ისინი ფასდება სტრუქტურირებული კლინიკური მეთოდებით, მათ შორის OSCE - ით, Mini - CEX - ით, შემთხვევის პრეზენტაციით, შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვებით, პორტფოლიოებით და ზედამხედველების უკუკავშირით.

კლინიკური შემთხვევის შეფასების, პაციენტის გასინჯვის, გამოკვლევის და დიფერენციალური დიაგნოსტიკის კომპეტენცია მკაფიოდ არის ასახული პროგრამის მე - 6 სწავლის შედეგში და დამატებით მხარდაჭერილია მე-2 და მე-11 სწავლის შედეგებით. პრეკლინიკური ფაზა მოიცავს დაავადების მექანიზმებს, დიაგნოსტიკურ მეთოდებს, ლაბორატორიული და ვიზუალიზაციის მონაცემების ინტერპრეტაციას. მეხუთე და მეექვსე სემესტრებში „დიაგნოსტიკური მეთოდების“ კურსები აერთიანებს ფიზიკურ დიაგნოსტიკას, რადიოლოგიურ კვლევებს და ლაბორატორიულ მედიცინას. კლინიკური აზროვნების განვითარებისათვის გამოიყენება შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და კლინიკური კორელაციები, ხოლო OSPE, წერითი შეფასებები და შემდგომ OSCE, Mini - CEX და CBD უზრუნველყოფს აღნიშნული ცოდნის გამოყენების შეფასების მექანიზმებს.

კლინიკური აზროვნების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიაგნოსტიკის და მართვის კომპეტენციები უმეტწილად ასახულია პროგრამის მე-6 და მე-11 სწავლის შედეგებში. პრეკლინიკური განათლებიდან კლინიკურ კომპონენტზე გადასვლისას სტუდენტები ეტაპობრივად იყენებენ დაავადების მექანიზმების, დიაგნოსტიკური მეთოდების და ფარმაკოლოგიური პრინციპების ცოდნას კლინიკურ შემთხვევებში. კლინიკურ წლებში ფასდება კლინიკური აზროვნება, პაციენტის გასინჯვა, კლინიკური ინფორმაციის ინტერპრეტაცია და გადაწყვეტილების მიღება ზედამხედველობის ქვეშ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს პროგრესია სათანადოდ ავითარებს კლინიკურ კომპეტენციას.

დარგობრივი მახასიათებლის განსაზღვრული გადაუდებელი მედიცინის და რეანიმაციის კომპეტენცია მკაფიოდ არის ასახული პროგრამის მე-7 სწავლის შედეგში, რომელიც სტუდენტებისგან მოითხოვს მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად გადაუდებელი მდგომარეობების ამოცნობას და მართვას, პირველადი დახმარების, სიცოცხლის ძირითადი და გაფართოებული მხარდაჭერის და კარდიოპულმონარული რეანიმაციის უზრუნველყოფას. პროგრამა ითვალისწინებს სპეციალურ პრაქტიკულ მომზადებას სიმულაციურ ლაბორატორიებში მანეკენების და სიმულატორების გამოყენებით, მათ შორის სასიცოცხლო ნიშნების შეფასებას, პირველად დახმარებას და კარდიოპულმონარულ

რეანიმაციას. მოწინავე კლინიკური ფაზა ასევე მოიცავს გადაუდებელ მედიცინას, ანესთეზიოლოგიას და ინტენსიურ თერაპიას. პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციები ფასდება სტრუქტურირებული მეთოდებით, მათ შორის OSCE - ით და კლინიკური შეფასების სხვა შესაბამისი მიდგომებით.

უსაფრთხო და რაციონალური მკურნალობის დანიშვნის კომპეტენცია ასახულია პროგრამის მე-8 სწავლის შედეგში და მხარდაჭერილია მე-2 სწავლის შედეგით, რომელიც მოიცავს ფარმაკოლოგიურ პრინციპებს, მედიკამენტების მოქმედების მექანიზმებს, ფარმაკოკინეტიკას და ფარმაკოდინამიკას, ჩვენებებს, უკუჩვენებებს, ურთიერთქმედებებს, გვერდით მოვლენებს და ანტიბიოტიკების რაციონალურ გამოყენებას. აღნიშნული კომპეტენციები დანერგილია პრეკლინიკური ფარმაკოლოგიის კომპონენტის მეშვეობით და შემდგომ გამოიყენება კლინიკურ განათლებაში შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების გზით. ისინი ფასდება წერითი გამოცდებით და კლინიკური / პრაქტიკული შეფასების მეთოდებით.

კლინიკური პროცედურების და პრაქტიკული უნარების კომპეტენცია მკაფიოდ არის ასახული პროგრამის მე-9 სწავლის შედეგში. პროგრამა მოიცავს კლინიკური უნარების სპეციალურ კომპონენტს და პრაქტიკულ მომზადებას სიმულაციურ ლაბორატორიებში მანეკენების და სიმულატორების გამოყენებით. სტუდენტები ეტაპობრივად ივითარებენ უნარებს, მათ შორის სასიცოცხლო ნიშნების შეფასებას, ინექციებს, კათეტერიზაციას, ვენაპუნქციას (ვენიდან სისხლის აღებას), ჭრილობის მართვას, ნაკერის დადებას და სხვა აუცილებელ პროცედურებს. კლინიკურ წლებში აღნიშნული უნარები ვითარდება კლინიკურ გარემოში ხელმძღვანელის ზედამხედველობით. OSCE და DOPS, ჟურნალებთან, პორტფოლიოებთან და სხვა სტრუქტურირებულ კლინიკურ შეფასებებთან ერთად, უზრუნველყოფს მოსწრების შეფასების მექანიზმებს.

კვლევის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის კომპეტენცია ასახულია პროგრამის მე-5 და მე-10 სწავლის შედეგებში და დამატებით მხარდაჭერილია მე-11 სწავლის შედეგით. პროგრამა მოიცავს სპეციალურ კვლევის კომპონენტს, რომელიც ფარავს ისეთ კურსებს, როგორიცაა: ჯანდაცვის კვლევის მეთოდოლოგია, კლინიკური კვლევა და ეთიკა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა მედიცინაში, ციფრული ჯანდაცვა და სამედიცინო ინფორმატიკა და ტრანსლაციური მედიცინა. აღნიშნული კურსები ავითარებენ ლიტერატურის შეფასების, კვლევის დიზაინის, მონაცემების შეგროვების და ანალიზის, შედეგების ინტერპრეტაციის და სამეცნიერო წერის კომპეტენციებს. სტუდენტებისგან ასევე მოსალოდნელია კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას სამეცნიერო მტკიცებულებების გამოყენების უნარის განვითარება. სამეცნიერო ნაშრომები და კვლევასთან დაკავშირებული სხვა დავალებები იძლევა პირდაპირი შეფასების შესაძლებლობას.

პროფესიონალიზმის, ეთიკური პრაქტიკის, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპეტენციები ასახულია პროგრამის მე-12 და მე-13 სწავლის შედეგებში, მე-11 სწავლის შედეგთან ერთად. პროგრამა მოიცავს ეთიკის, ბიოეთიკის, კომუნიკაციის, პროფესიონალიზმის და პაციენტის უსაფრთხოების კომპონენტებს. აღნიშნული პრინციპები პროგრესულად არის გაერთიანებული კლინიკურ განათლებაში. სწავლის შედეგები მოიცავს სათანადო სამედიცინო ჩანაწერების წარმოებას, კონფიდენციალურობას და ინფორმირებული თანხმობის მიღებას, თანაგრძნობის და არადისკრიმინაციული ქცევის გამოვლენას, სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობას, საკუთარი შეზღუდვების გაცნობიერებას და საჭიროების შემთხვევაში დახმარების მოძიებას. აღნიშნული კომპეტენციები ფასდება სტრუქტურირებული კლინიკური შეფასების მეთოდებით, პორტფოლიოებით / ჟურნალებით, Mini - CEX - ით, DOPS - ით, CBD - თი და ზედამხედველების უკუკავშირით.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს მკაფიო კავშირს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ კომპეტენციებს, პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმას, სწავლება - სწავლის მეთოდებსა და შეფასების სისტემას შორის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კავშირი პროგრესულია და არ შემოიფარგლება ცალკეული კურსებით: საბაზისო კომპეტენციები ვითარდება

ადრეულ ეტაპებზე, პრეკლინიკური განათლების განმავლობაში და შემდგომ გამოიყენება და ფასდება უფრო რთულ კლინიკურ კონტექსტში. პროგრამის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ შესაბამისი კომპეტენციები დანერგილია, ვითარდება და ფასდება 12 სემესტრიანი სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე.

აღწერილი სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება მოსალოდნელი სწავლის შედეგების ბუნებას. ინტერაქტიული ლექციები და სემინარები ქმნიან ცოდნის შეძენის საფუძველს, ხოლო პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა, PBL, CBL, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაში, სიმულირებული პაციენტები, კლინიკური როტაციები, პაციენტის საწოლთან სწავლება და კლინიკურ გარემოში სწავლა იძლევა გამოყენების და უნარების ეტაპობრივი განვითარების შესაძლებლობას. სიმულაციის და სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლინიკური და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებისათვის და შეფასებისთვის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებულ კლინიკურ პრაქტიკამდე და მის განმავლობაში.

შეფასების ჩარჩო უზრუნველყოფს სწავლის სხვადასხვა მიმართულებების შეფასების შესაბამის მექანიზმებს. ადრეულ წლებში გამოიყენება წერითი გამოცდები და OSPE ბიოსამედიცინო ცოდნის, ლაბორატორიული უნარების, ანატომიური და ჰისტოლოგიური იდენტიფიკაციის და ძირითადი კლინიკური კორელაციების შესაფასებლად. პრეკლინიკურ ფაზაში შემთხვევაზე დაფუძნებული დავალებები, OSPE და ინტეგრირებული წერითი შეფასებები ეხება დაავადების მექანიზმებს, დიაგნოსტიკურ აზროვნებას, ფარმაკოლოგიურ გადაწყვეტილებებს და ლაბორატორიული და ვიზუალიზაციის მონაცემების ინტერპრეტაციას. კლინიკურ წლებში გამოიყენება OSCE, Mini - CEX, DOPS, კლინიკური შემთხვევების პრეზენტაციები, შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვები, პორტფოლიოები, ჟურნალები და ზედამხედველების უკუკავშირი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების აღნიშნული პროგრესული სტრატეგია შესაფერისია, ვინაიდან ასახავს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მზარდ სირთულეს.

OSCE - ის გამოყენება რელევანტურია პრაქტიკული და კლინიკური შედეგების შესაფასებლად. პროგრამის თანახმად, OSCE - ის სადგურებზე გამოიყენება სტანდარტიზებული პროცედურები, საერთო დავალებები, წინასწარ განსაზღვრულია შესრულების დრო, ხოლო თავად შესრულება ფასდება ჩექლისტებით, სიმულატორების, მანეკენების და სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენებით. სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკების, ჩექლისტებისა და კომპეტენციის მინიმალური ზღვრების გამოყენებასთან ერთად, აღნიშნული ქმნის კლინიკური კომპეტენციების ობიექტური შეფასების სტრუქტურირებულ საფუძველს.

სწავლის შედეგებში ასევე ნაჩვენებია პაციენტის უსაფრთხოების, პროფესიული ეთიკის, კომუნიკაციის, კულტურული მგრძნობელობის და პასუხისმგებლიანი სამედიცინო პრაქტიკის საკითხები. კვლევის მეთოდოლოგიის და სამეცნიერო მტკიცებულებების კრიტიკული შეფასების გამოყენება შეესაბამება თანამედროვე სამედიცინო განათლების მოლოდინებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტი ასევე აფართოებს კურსდამთავრებულის პროფილს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, ჯანდაცვის მენეჯმენტის და ჯანმრთელობის უთანასწორობის საკითხების გათვალისწინებით.

პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგები შემუშავდა შრომის ბაზრის კვლევების, ადგილობრივ და საერთაშორისო მედიცინის პროგრამებთან შედარებითი ანალიზის, დარგობრივი მოთხოვნების და ჯანდაცვის სფეროს თანამედროვე განვითარების გათვალისწინებით. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობას იღებდა აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები, პროგრამა წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს და გარე კოლეგებს და დაიხვეწა მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. მითითებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა იძლევა სწავლის შედეგების პროფესიულ პრაქტიკასთან შესაბამისობის შეფასების სათანადო საფუძველს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უნდა შენარჩუნდეს

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, როგორც პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული გადახედვის რეგულარული და დოკუმენტირებული ნაწილი.

პროგრამის დოკუმენტაციაში ასევე აღწერილია სწავლის შედეგების გაცნობის მექანიზმები პროგრამის და სასწავლო კურსების დოკუმენტაციის მეშვეობით. ვინაიდან სწავლის შედეგები დაკავშირებულია სასწავლო კურსების სილაბუსებთან, სასწავლო აქტივობებთან და შეფასების მეთოდებთან, ისინი წარმოადგენენ საერთო საორიენტაციო წერტილს სტუდენტებისთვის და ლექტორებისათვის. პროგრამის განხორციელებისას უნდა შენარჩუნდეს მოსალოდნელი კომპეტენციების და მათი პროგრესიის შესახებ ინფორმაციის სისტემური გავრცელება, განსაკუთრებით კლინიკურ განათლებაში, იმისათვის, რომ სტუდენტებს და კლინიკურ ხელმძღვანელებს ჰქონდეთ საერთო წარმოდგენა თითოეულ ეტაპზე მოსალოდნელი მიღწევის დონის შესახებ.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სათანადოდაა ფორმულირებული, ყოვლისმომცველია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სამედიცინო განათლების თავისებურებებს, ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს და შესაბამის დარგობრივ მოლოდინებს. ისინი სათანადოდ აღწერენ კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას და მხარდაჭერილია შესაბამისი სწავლება - სწავლისა და შეფასების მიდგომებით. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შესაბამისობა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ძირითად კომპეტენციებს და პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმის ფაზებს, სწავლების მიდგომებსა და შეფასების მეთოდებს შორის. პროგრესული განვითარება პირველი ორი წლის ბიოსამედიცინო საფუძვლიდან მეხუთე და მეექვსე სემესტრების პრეკლინიკური განათლების გავლით მეოთხე და მეხუთე წლების ძირითად კლინიკურ განათლებამდე და მეექვსე წლის მოწინავე კლინიკურ განათლებამდე ქმნის კომპეტენციების განვითარების თანმიმდევრულ ჩარჩოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების / მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო გეგმის სტრუქტურა;
- სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდების აღწერა;
- OSCE/OSPE - ის შეფასების ფორმები, რუბრიკები და სადგურების ნიმუშები;
- პორტფოლიოს/ჟურნალის ფორმები;
- Mini - CEX, DOPS, CBD და კლინიკური შეფასების სხვა ინსტრუმენტები;
- პროგრამის შემუშავების და განხილვის სხდომების/საბჭოების ოქმები;
- დამსაქმებლების, აკადემიური / მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების უკუკავშირის ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების ანალიზი;
- პროგრამის განვითარების / გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, გადაიხედოს ცალკეული სწავლის შედეგების ფორმულირება, იმისათვის, რომ ყველა დებულება გამოხატული იყოს თანმიმდევრულად დაკვირვებადი და გაზომვადი სამოქმედო ზმნებით, განსაკუთრებით ცოდნის და პროფესიული პასუხისმგებლობის მიმართულებებში.
- სასურველია, დაიხვეწოს პროგრამის დონეზე შეფასების მონაცემების შეგროვების და ანალიზის სისტემური მიდგომა, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს, უფრო მკაფიოდ აჩვენოს, თუ რამდენად აღწევენ კურსდამთავრებულები პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და აღნიშნული მიგნებები გამოიყენოს სასწავლო გეგმის განვითარებისათვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული მექანიზმი. მექანიზმი მოიცავს შეფასების ციკლის ძირითად ეტაპებს, მათ შორის სწავლის შედეგების და შესაბამისი მტკიცებულებების გამოვლენას, მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და ინტერპრეტაციას, ანგარიშგებას და მიგნებების გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია „პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზოგად ჩარჩოს, მათ შორის შეფასების მეთოდებს, მონაცემთა წყაროებს, პერიოდულობას, პასუხისმგებელ პირებს და ანალიზის პროცედურებს. აღწერილი მექანიზმი ქმნის სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნის მიღების, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის განვითარების სისტემატური შეფასების სათანადო ინსტიტუციურ საფუძველს.

შეფასების სისტემა მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასება მოიცავს წერით და ზეპირ გამოცდებს, ტესტებს, პრაქტიკულ დავალებებს, კლინიკურ და სიმულაციაზე

დაფუძნებულ შეფასებებს, OSCE/OSPE - ს, პორტფოლიოებს და ჟურნალებს , Mini - CEX - ს, DOPS - ს, CBD - ს და კლინიკური და პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების სხვა ინსტრუმენტებს. არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კლინიკური ხელმძღვანელების, დამსაქმებლების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების კომბინაცია შეესაბამება სამედიცინო განათლების თავისებურებებს და პროგრამის სწავლის შედეგების სხვადასხვა მიმართულებებს.

განსაკუთრებული ძლიერ მხარეს წარმოადგენს კლინიკური და პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების სტრუქტურირებული ინსტრუმენტების გამოყენება. OSCE / OSPE, Mini - CEX, DOPS, CBD, პორტფოლიოები და ჟურნალები უზრუნველყოფს კომპეტენციების შეფასებას სხვადასხვა საგანმანათლებლო და კლინიკურ კონტექსტში და ადასტურებს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ კლინიკურ უნარებს, კლინიკურ აზროვნებას, კომუნიკაციას, პროფესიულ ქცევას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. რუბრიკების, ჩექლისტების და წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენება ხელს უწყობს გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობას და ობიექტურობას.

აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შესაბამისი სასწავლო კურსების / მოდულების, შეფასების კომპონენტების და ინდიკატორების განსაზღვრას. პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა უზრუნველყოფს ინფორმაციას ცალკეული სწავლის შედეგების განვითარების, განმტკიცების და შეფასების შესახებ. შეფასების პროცესი ასევე ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ინფორმაციის შეგროვებას, მათ შორის გამოცდების და შეფასებების, OSCE/OSPE-ის სადგურებზე მიღებული შედეგების, კლინიკური უნარების შეფასების, პორტფოლიოს/ჟურნალის ინდიკატორების, აკადემიური პროგრესის და კურსის დასრულების მონაცემების, სტუდენტების, ხელმძღვანელების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების თვისებრივ უკუკავშირს.

შეგროვებული ინფორმაცია გაანალიზებულია პროგრამის დონეზე და არა მხოლოდ ცალკეული სტუდენტის მიღწევების ფარგლებში. პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, ანალიზი განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება სტუდენტების მიღწევები პროგრამის სწავლის შედეგების მოსალოდნელ დონეს, ასევე, ხორციელდება ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენა და მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამის შემდგომი განვითარება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის დონის ანალიზი სათანადოა და დაწესებულებას საშუალებას აძლევს სასწავლო გეგმის შინაარსში, სწავლება - სწავლაში, შეფასებაში თუ კლინიკურ მომზადებაში გამოავლინოს სისტემური კანონზომიერებები და პოტენციური სუსტი მხარეები.

ასევე, სათანადოდ არის განსაზღვრული პროცესის მართვაც. პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და შესაბამის კოლეგიურ ორგანოებთან კოორდინაციით, პასუხისმგებელია სწავლის შედეგების გადახედვაზე და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშის მომზადებაზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, კლინიკური ზედამხედველები და გარე ექსპერტები მონაწილეობენ უფრო ფართო შეფასების პროცესში. აღნიშნული იძლევა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაზე დაფუძნებული შეფასების მექანიზმის გამოყენების საფუძველს და ხელს უწყობს პროგრამის შეფასების პროცესში გარე ხედვების ინტეგრირებას.

მექანიზმი ასევე ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეფასების მიგნებების გამოყენებას. პროგრამის დოკუმენტაციაში განსაზღვრულია შესაძლო ქმედებები, მათ შორის: სასწავლო კურსების შინაარსის ცვლილება, სწავლება - სწავლის მეთოდების გადახედვა, შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფა, კლინიკური და სიმულაციური მომზადების გაძლიერება, პრაქტიკული კომპონენტების გადანაწილება, სილაბუსების გადახედვა და სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესება.

აღნიშნული წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის დახურული ციკლის კონცეფციას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას და გაუმჯობესებას.

შეფასების პერიოდულობა მიზნად ისახავს პროგრამის მახასიათებლების და შეგროვებული სხვადასხვა სახის მტკიცებულებების ასახვას. კურსის დონის შეფასება მიმდინარეობს მთელი აკადემიური პროცესის განმავლობაში, ხოლო პროგრამის დონის ანალიზი ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და ანგარიშგების დადგენილი პროცესის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კომბინაცია შეეფერება სამედიცინო განათლებას, სადაც ზოგიერთი კომპეტენცია მოითხოვს კლინიკური სწავლების პროცესში უწყვეტ დაკვირვებას და შეფასებას, ხოლო პროგრამის დონის მიღწევა საჭიროებს მტკიცებულებების პერიოდულ შეგროვებას და ანალიზს.

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია შეფასების პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომია პროგრამის და სასწავლო კურსის დოკუმენტაციის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოყენებული უნდა იქნეს აკადემიური, მოწვეული და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პერსონალის მიერ. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი პროგრამის შემუშავებასთან, სწავლებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით და მიეწოდა მეთოდური მხარდაჭერა. პროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანი იქნება აკადემიური და კლინიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის და ანალიზის მიმართულებით.

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას. პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია ინდიკატორები და მიღწევის მოსალოდნელი დონეები, თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულ მკაფიო, პროგრამის დონის სამიზნე ნიშნულებს და მიღწეული სწავლის შედეგების შედარებას აღნიშნულ სამიზნე ნიშნულებთან. კურსის დონის შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები, ჩექლისტები და კომპეტენციის მინიმალური ზღვრები ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს, თუმცა ისინი უნდა გარდაიქმნას პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულ მკაფიო, პროგრამის დონის სამიზნე ნიშნულებად. აღნიშნულმა სამიზნე ნიშნულებმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში მიღწევის მოსალოდნელი დონეების მიღწევის თანმიმდევრული განსაზღვრა და დროთა განმავლობაში აკონტროლოს ტენდენციები.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ამჟამად არ ჰყავს ჩარიცხული სტუდენტები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გადაამოწმა მექანიზმის ეფექტიანობა პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების რეალური მონაცემების მეშვეობით, ასევე ვერ შეაფასა სტუდენტების მიღწევები სისტემური შედარება პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან. შესაბამისად, ხელმისაწვდომი მტკიცებულებებით დასტურდება კარგად შემუშავებული და დაგეგმილი მექანიზმის არსებობა, თუმცა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი მისი განხორციელების ეფექტიანობის ან სამიზნე ნიშნულებზე დაფუძნებული მონიტორინგის შედეგები.

სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ უნდა განხორციელდეს პროგრამის დონის შეფასების მონაცემების შეგროვება, მიღწევების შედარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან, გამოვლინდეს არასაკმარისი ან გადაჭარბებული მიღწევის სფეროები და დოკუმენტირებულ იქნეს ჩატარებული გაუმჯობესების ღონისძიებები. მოგვიანებით ხელახლა უნდა შეფასდეს ღონისძიებების ეფექტიანობა, რითიც დასრულდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სათანადო და ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს, განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, პროგრამის დონის ანალიზსა და გაუმჯობესების მიზნით შედეგების გამოყენების მექანიზმებს. ჩარჩო

სათანადოდ შეესაბამება სამედიცინო განათლების თავისებურებებს და ქმნის უწყვეტი ხარისხის უზრუნველყოფის მყარ საფუძველს. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე სათანადოდ ვერ დასტურდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მიღწეული შედეგების სისტემატური შედარება დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება საჭიროებს განვითარებას პროგრამის განხორციელების შემდგომ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი;
- მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
- სტუდენტების აკადემიური მიღწევების და შეფასების შედეგების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის ანგარიში;
- პროგრამის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა;
- განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები.

რეკომენდებულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავდეს მკაფიო, გაზომვადი, პროგრამის დონის სამიზნე ნიშნულები ან მიღწევის ზღვრები და დაინერგოს შეფასების შედეგების შეგროვების, მიღწევების განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან შედარების, გამოვლენილი ხარვეზების და ძლიერი მხარეების დოკუმენტირების და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემური პროცესი. აღნიშნული პროცესის შედეგები უნდა აისახოს პროგრამის პერიოდულ შეფასებაში და ეცნობოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაუმჯობესების დახურული ციკლის ხასიათის ჩვენება. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დოკუმენტირება გამოვლენილი შეფასების მიგნებებს, შეთანხმებულ გაუმჯობესების ღონისძიებებს, მათი განხორციელების და ეფექტიანობის შემდგომ შეფასებას შორის კავშირის სისტემური აღწერით. აღნიშნული უზრუნველყოფს უფრო მკაფიო მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს განხორციელებული ცვლილებები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე.
- შეფასების მტკიცებულებების შემდგომი ჯვარედინი გადამოწმება. სასურველია, პროგრამის ფარგლებში განვითარდეს პირდაპირი შეფასების შედეგების ჯვარედინი გადამოწმება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, კლინიკური ზედამხედველების და დამსაქმებლების უკუკავშირის შესაბამისად, განსაკუთრებით პროფესიული კომპეტენციების, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და კლინიკური მზაობის მიმართულებით. აღნიშნული უზრუნველყოფს მტკიცებულებების ყოვლისმომცველ ბაზას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ - ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის და პროფესიული სფეროს მოთხოვნები, ასევე სამედიცინო მომზადების თანამედროვე მიდგომები.

პროგრამაში მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ნაჩვენები კავშირი მიზნებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმის შინაარსს, სწავლება - სწავლის მიდგომებსა და შეფასების მეთოდებს შორის. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ პროგრამის შემუშავებასა და გადასინჯვაში მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ადმინისტრაციული და ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიდგომა უზრუნველსაყოფს პროგრამის შემუშავებას დაწესებულების მიერ განსაზღვრული და ხარისხის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული პროცესის მეშვეობით.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია, რაც ასახავს სამედიცინო განათლების პროგრესულ ხასიათს. საწყის ეტაპზე სტუდენტები იძენენ ადამიანის ორგანიზმის აგებულების და ფუნქციონირების, ასევე ჯანმრთელობასთან და დაავადებებეთან დაკავშირებული მექანიზმების ფუნდამენტურ ბიოსამედიცინო ცოდნას. მიღებული ცოდნა ვითარდება პრეკლინიკური განათლების ეტაპზე, რომელიც ეტაპობრივად ინტეგრირდება კლინიკურ მეცნიერებებთან და პრაქტიკულ მომზადებასთან. შემდგომ ეტაპებზე სტუდენტებისგან მოსალოდნელია მიღებული ცოდნის კლინიკურ კონტექსტში გამოყენება, პაციენტის შეფასების, კლინიკური აზროვნების, გამოკვლევის, დიაგნოსტიკის, მართვის და პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარებით.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული პროგრესია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიცინის პროგრამის კონტექსტში, სადაც თეორიული ცოდნის შეძენას სისტემურად უნდა მოჰყვეს პრაქტიკულ და კლინიკურ გარემოში მისი ინტეგრაცია და გამოყენება. პროგრამაში აღნიშნული განვითარება

უზრუნველყოფილია ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური, კლინიკური, კლინიკური უნარების, კვლევის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტების თანმიმდევრობის მეშვეობით. სასწავლო კურსების წინაპირობების სისტემა და სემესტრული განაწილება კიდევ უფრო უწყობს ხელს კომპეტენციების ლოგიკურ განვითარებას და ამცირებს იმის რისკს, რომ სტუდენტები მოწინავე კლინიკურ შინაარს გაივლიან აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის მიღებამდე და შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებამდე.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ფართო და ინტერდისციპლინურია. ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებთან ერთად, სასწავლო გეგმა მოიცავს საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებს, სამედიცინო ეთიკას, პაციენტის უფლებებს, პროფესიულ პასუხისმგებლობებს, კვლევის მეთოდოლოგიას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას. აღნიშნული შეესაბამება სამედიცინო პროფესიის თანამედროვე გაგებას და ხელს უწყობს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც სამეცნიერო ცოდნას შეუთავსებენ კლინიკურ, ეთიკურ, კომუნიკაციის და პროფესიულ კომპეტენციებს.

პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, საიდანაც 348 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კომპონენტებისთვის, ხოლო 12 კრედიტი არჩევითი კურსებისათვის. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგად კურსებს (27 კრედიტი), მედიცინის შესავალს (74 კრედიტი), პრეკლინიკურ კურსებს (49 კრედიტი), კლინიკურ კურსებს (146 კრედიტი), კლინიკურ უნარებს (16 კრედიტი), კვლევას (18 კრედიტი) და საზოგადოებრივ ჯანდაცვას (18 კრედიტი). ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული განაწილება მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს კლინიკურ განათლებაზე და, ამავე დროს, ინარჩუნებს ბიოსამედიცინო მეცნიერებების, კვლევის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სათანადო საფუძველს. არჩევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ გარკვეულ მოქნილობას სხვაგვარად სტრუქტურირებულ სასწავლო გეგმაში.

პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის / მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ადასტურებს სისტემურ მიდგომას სასწავლო გეგმის დიზაინის მიმართ. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სასწავლო კურსები ხელს უწყობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეფასებას, გარდა ამისა, სწავლის შედეგები ეტაპობრივად არის განვითარებული და განმტკიცებული სასწავლო გეგმის ფარგლებში. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის თანმიმდევრულობას და წარმოადგენს სასწავლო გეგმის მონიტორინგის საფუძველს იმის შესახებ თუ რამდენად მიიღწევა კურსდამთავრებულის სასურველი პროფილი.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. ლექციების და სემინარების გარდა, პროგრამაში გამოიყენება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, შემთხვევაზე დაფუძნებული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გუნდური მუშაობა, სიმულაცია, როლური თამაში, პაციენტის საწოლთან სწავლება, სწავლა კლინიკურ გარემოში და დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული მრავალფეროვნება შეესაბამება მედიცინის პროგრამის სპეციფიკას, რომელშიც ცოდნა და კომპეტენციები საჭიროებს სხვადასხვა სასწავლო მიდგომას.

შეფასების სისტემა სათანადოდ არის დაკავშირებული სასწავლო გეგმასთან და სწავლის შედეგებთან. წერით და ზეპირ გამოცდებთან ერთად გამოიყენება პრაქტიკული და სტრუქტურირებული კლინიკური შეფასების მეთოდები, მათ შორის OSCE/OSPE, Mini - CEX, DOPS, CBD და პორტფოლიო/ლოგბუქი. ექსპერტების მოსაზრებით, აღნიშნული კომბინაცია უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების განსხვავებული ასპექტების, მათ შორის თეორიული ცოდნის, კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული უნარების და პროფესიული კომპეტენციების შეფასებას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მედიცინის დოქტორი - შეესაბამება პროგრამის მასშტაბს, შინაარსს, სწავლის ხანგრძლივობას და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. მთლიანობაში სასწავლო გეგმა მიმართულია უზრუნველყოს მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კურსდამთავრებულებისგან

მოსალოდნელი ცოდნის, კლინიკური და პრაქტიკული უნარების, პროფესიული პასუხისმგებლობის და დამოუკიდებლობის განვითარება, რაც შემდგომში გახდება დიპლომისშემდგომი განათლების და პროფესიული განვითარების საფუძველი.

ექსპერტები ასევე მიუთითებენ, რომ პროგრამის შემუშავების და გადასინჯვის პროცესში ინტეგრირებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და დაინტერესებულ მხარეების უკუკავშირი. აღწერილი მექანიზმები უზრუნველყოფენ სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და კლინიკური პარტნიორების უკუკავშირის შეგროვებას და ანალიზს, რომელიც განსაზღვრავს ცვლილებებს სასწავლო გეგმის შინაარსში, სწავლება - სწავლის მეთოდებში და შეფასების წესში. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

მედიცინის უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილია სულ მცირე 12 კრედიტი, კერძოდ:

პაციენტებთან და სამედიცინო პერსონალთან ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, I-IV სემესტრებში, ჯამში 16 კრედიტის ფარგლებში დაგეგმილია ქართული ენის სწავლების მოდულების შეთავაზება (ქართული ენა 1 - 4).

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას აქვს თანმიმდევრული, ლოგიკური და ყოვლისმომცველი სტრუქტურა, სადაც მკაფიოდ არის ასახული კავშირი პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმის შინაარსს, სწავლება - სწავლის მეთოდებს, შეფასებასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სათანადო პროგრესია ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნიდან პრეკლინიკური განათლების გავლით კლინიკური და პროფესიული კომპეტენციების განვითარებამდე და, ამასთანავე, მოიცავს სამედიცინო პრაქტიკის კვლევას, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ეთიკურ და პროფესიულ ასპექტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის (ჯიუ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების და გაუმჯობესების მეთოდოლოგია;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების / მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო კურსების წინაპირობების სისტემა;
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო გეგმის ინტეგრაცია. სასურველია, სასწავლო გეგმაში ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის უფრო მკაფიო წარმოჩენით გაძლიერდეს საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებების ინტეგრაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ფუნდამენტური სამეცნიერო ცნებები ხელახლა არის განხილული და გამოყენებული შემდგომ კლინიკურ მოდულებში.
- სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვის მონიტორინგი. სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სტუდენტების დატვირთვის მონიტორინგი სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილების, დაგეგმილი სასწავლო აქტივობების და სტუდენტების უკუკავშირის სისტემური გაერთიანებით. აღნიშნული გამოავლენს გადაჭარბებული დატვირთვის შესაძლო პერიოდებს და ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრობის შემდგომ ოპტიმიზაციას.
- არჩევითი კომპონენტი. სასურველია, პროგრამაში დაიხვეწოს არჩევითი კომპონენტი, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა შეიძინონ დამატებითი ცოდნა ინდივიდუალური აკადემიური ან პროფესიული ინტერესების შესაბამისად, განსაკუთრებით მედიცინის განვითარებად მიმართულებებში, კვლევაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და ინტერდისციპლინურ პრაქტიკაში, პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის შენარჩუნები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსები პროგრამის მიზნებთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და სამედიცინო განათლების სპეციფიკურ მოთხოვნებთან მიმართებით სათანადოდ არის შემუშავებული .

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები ნათელ ჩარჩოს ქმნის, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასების მიდგომებს, კრედიტების განაწილებასა და სასწავლო რესურსებს. კურსების სწავლის შედეგები, ზოგადად, შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და ხელს უწყობს პროგრამის უფრო ფართო სწავლის შედეგების მიღწევას.

კრედიტების განაწილებისას გათვალისწინებულია ცალკეული კურსების შინაარსობრივი მოცულობა და სირთულე, სტუდენტის მოსალოდნელი დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელ სწავლებას შორის ბალანსი, ასევე განათლების პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტები. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო აქტივობების განაწილება სათანადო საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეიძინონ თეორიული ცოდნა, დამოუკიდებლად ისწავლონ, მოემზადონ შეფასებისათვის და, შესაბამის შემთხვევებში, განივითარონ პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციები.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების შინაარსი პროგრამის მიმდინარეობის ფარგლებში სათანადო პროგრესიას ავლენს. საბაზისო კურსები სტუდენტებს აძლევს ნორმალური და პათოლოგიური პროცესების გაგებისათვის საჭირო ბიოსამედიცინო ცოდნას, ხოლო შემდგომი პრეკლინიკური და კლინიკური კურსები ეფუძნება აღნიშნულ ცოდნას და ეტაპობრივად ავითარებს პაციენტის შეფასების, კლინიკური მსჯელობის, დიაგნოსტიკის, მართვისა და პაციენტზე ორიენტირებული კომუნიკაციის კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

ძირითადი სამედიცინო სასწავლო კურსები უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა. პროგრამა მოიცავს ბიოსამედიცინო, პრეკლინიკურ და კლინიკურ დისციპლინებს, ასევე საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებს, სამედიცინო ეთიკას, პროფესიულ რეგულირებას, კვლევის მეთოდოლოგიასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას. ერთობლიობაში, აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისაგან მოსალოდნელი ცოდნის, კლინიკური და პრაქტიკული უნარების, საკომუნიკაციო კომპეტენციების, პროფესიული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის სისტემური ურთიერთკავშირის არსებობას. წარმოდგენილი შესაბამისობის რუკა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის დონეზე განსაზღვრული კომპეტენციების გაცნობას, განვითარებასა და განმტკიცებას. წინაპირობების სისტემა და სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ასევე უზრუნველყოფს აღნიშნულ პროგრესიას, რადგან სტუდენტები უფრო რთულ კლინიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებზე გადასვლამდე იძენენ აუცილებელ საბაზისო ცოდნას.

სილაბუსებში აღწერილი სწავლება-სწავლის მიდგომები, ზოგადად, შეესაბამება შესაბამისი სასწავლო კურსების სპეციფიკასა და მათ მოსალოდნელ შედეგებს. ლექციებსა და სემინარებს, საჭიროებისამებრ, ამდიდრებს პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა, შემთხვევაზე დაფუძნებული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაცია, კლინიკური სწავლება და დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული კომბინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო განათლებისთვის, სადაც სწავლის შედეგების მიღწევა მოითხოვს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და კლინიკურ მსჯელობასთან ინტეგრირებას.

ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალებსა და რესურსებს. პროგრამაში გამოიყენება ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა, კლინიკური გაიდლაინები, ელექტრონული რესურსები და პრაქტიკული/სიმულაციური მასალები. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და დონეს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნისა და კლინიკური მსჯელობის განვითარებას. თანამედროვე სამეცნიერო და კლინიკური რესურსების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო პროგრამისთვის, რადგან სტუდენტები უნდა გაეცნონ უახლეს მტკიცებულებებს, კლინიკურ რეკომენდაციებსა და პროფესიული პრაქტიკის სტანდარტებს.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აღნიშნავს, რომ პროგრამაში აღწერილია სასწავლო კურსების შინაარსისა და სასწავლო მასალების პერიოდული შეფასებისა და განახლების მექანიზმები. არსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული შეფასებისა პროცესში გათვალისწინებულია შესაბამის სამეცნიერო სფეროებში არსებული განვითარების ტენდენციები, კლინიკური რეკომენდაციების ცვლილებები, შეფასების შედეგები და სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კლინიკური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. აღნიშნული სათანადო საფუძველს ქმნის სასწავლო კურსების შინაარსის აქტუალურობისა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სასწავლო კურსების დოკუმენტაციაში აღწერილი შეფასების მექანიზმები ასევე სათანადოდ უკავშირდება კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების განსხვავებული მიდგომების გამოყენება პროგრამას საშუალებას აძლევს, ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეაფასოს როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციები. ექსპერტთა ჯგუფი კურსის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის შესაბამისობას მნიშვნელოვანად მიიჩნევს, რადგან აღნიშნული იმის დადასტურების საშუალებას იძლევა, რომ სწავლის შედეგები რეალურად მიიღწევა და მხოლოდ სასწავლო აქტივობების ფარგლებში არ არის დაფარული.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ სტუდენტთა მიღწევები და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შეფასების პროცესში. აკადემიური მოსწრების მონაცემების, შეფასების შედეგებისა და უკუკავშირის გამოყენება სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდების, შეფასების კომპონენტებისა და სასწავლო რესურსების შესაძლო ცვლილებების დასაგეგმად, სათანადო მიდგომას წარმოადგენს სასწავლო კურსების ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი ექვემდებარება შეფასებას.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსები/საგნები სათანადოდ არის სტრუქტურირებული და შეესაბამება როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგებს. კრედიტების განაწილება, სასწავლო კურსების შინაარსი და თანმიმდევრობა, შეფასების მიდგომები და სასწავლო მასალები სათანადო ჩარჩოს ქმნის მოსალოდნელი კომპეტენციების მისაღწევად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო შინაარსს და, ზოგადად, სათანადო საფუძველს ქმნის თანამედროვე სამედიცინო განათლების შეთავაზებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სილაბუსები
- კურსის კრედიტების განაწილების სქემა
- სასწავლო კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობის რუკა
- კურსების წინაპირობების სისტემა
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი
- ელექტრონული სასწავლო რესურსები და კლინიკური გაიდლაინები
- საბიბლიოთეკო რესურსები და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტები
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, განხორციელდეს სასწავლო კურსების დატვირთვის სისტემატური მონიტორინგი. სასურველია, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს სტუდენტების რეალური დატვირთვის სისტემატური შეფასება განსაზღვრულ კრედიტებთან მიმართებით, სტუდენტების უკუკავშირთან

და კურსის მიღწევის ინდიკატორებთან დატვირთვის მონაცემების რეგულარული შეჯერებით. მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტების განაწილების და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ბალანსის ოპტიმიზაციისთვის.

- სასურველია სისტემატურად განახლდეს სასწავლო რესურსები. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაინერგოს სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვის პროცესი, მათ შორის გამოვლენილ იქნეს მოძველებული წყაროები და განხორციელდეს მათი ჩანაცვლება უახლესი სახელმძღვანელოებით, კლინიკური გაიდლაინებით, სისტემატური მიმოხილვებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სხვა ავტორიტეტული რესურსებით.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის დონეზე ცალკეული სასწავლო კურსების წვლილის ანალიზი. პროგრამის ფარგლებში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას ცალკეული კურსების ერთობლივი წვლილის შესახებ პროგრამის სწავლის შედეგების დაფარვის, განმტკიცების და შეფასების მიმართულებით, რაც გამოავლენს არასაკმარისი ან გადაჭარბებული წარმოდგენის შესაძლო სფეროებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლეს სამედიცინო განათლებასთან მიმართებით არსებული მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

მიღების წინაპირობები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს აკადემიურ, ენობრივ და პროცედურულ წინაპირობებს. საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე. სავალდებულო საგნებია ქართული ენა და ლიტერატურა,

ინგლისური ენა, ბიოლოგია და ერთ-ერთი შემდეგი საგნებიდან: ქიმია, მათემატიკა ან ფიზიკა. ინგლისური ენის გამოცდისთვის განსაზღვრულია 80%-იანი ზღვარი. შესაბამის საგნობრივ კომბინაციებს შორის ადგილების განაწილება რეგულირდება პროგრამის დოკუმენტაციით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებისათვის. შესაბამის აპლიკანტებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურება, უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის პროცედურის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების ჩარჩო ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა მობილობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გადასვლის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.

დაშვების წინპირობები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სირთულის დონეს. წინაპირობები მოიცავს საბაზისო სამეცნიერო ცოდნას, ინგლისური ენის კომპეტენციასა და მედიცინის ინტენსიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო აკადემიურ მზაობას.

პროცედურები მოიცავს საგანმანათლებლო დოკუმენტაციის შემოწმებას, ჩარიცხვის უფლებამოსილების დადასტურებას, ენობრივი კომპეტენციის შეფასებას ან დადასტურებას და კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული აპლიკანტების შემთხვევაში გადამოწმებას ექვემდებარება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროდაა ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის საინფორმაციო არხების მეშვეობით. მოთხოვნები აპლიკანტებისთვის ერთგვაროვან პირობებს ადგენს და ნათელ საფუძველს ქმნის ჩარიცხვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მიღების ჩარჩო სტრუქტურირებული და გამჭვირვალეა და, ზოგადად, შეესაბამება დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოქმედი მოთხოვნების საფუძველზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეფასებულია, როგორც სრულ შესაბამისობაში მყოფი ხარისხის შესაბამის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უნივერსიტეტში
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაშვების პროცედურები
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების წინაპირობების აღწერა
- ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების წესი/მექანიზმი.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლოდა ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა შეფასებით, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული მიმართულებები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში, სასწავლო კურსების შინაარსში, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და შეფასების მექანიზმებში. პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ეტაპობრივად გადავიდნენ საბაზისო ცოდნის შეძენიდან მის პრაქტიკულ და კლინიკურ გამოყენებაზე.

პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარების მიზნით, პროგრამა მოიცავს ლაბორატორიულ და პრეკლინიკურ სწავლებას, სიმულაციურ აქტივობებსა და კლინიკურ გარემოში სწავლებას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს სიმულაციური ლაბორატორიების, მანეკენების, მულაჟების, სიმულატორებისა და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების გამოყენებას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს პაციენტთან კომუნიკაციის, ანამნეზის შეკრების, ფიზიკური გასინჯვის, კლინიკური შემთხვევების შეფასებისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარების განვითარებას. ამასთანავე, ექსპერტთა მოსაზრებით, წარმოდგენილი აღწერილობა უფრო მეტად ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ჩამონათვალს ასახავს, ვიდრე კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის სისტემურ და გაზომვად მტკიცებულებებს.

პროგრამაში კვლევითი კომპონენტის არსებობა დადებითად ფასდება. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მოიძიონ და კრიტიკულად შეაფასონ სამეცნიერო ლიტერატურა, გამოიყენონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები და მოამზადონ აკადემიური ნაშრომები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ასევე მიუთითებს სტუდენტთა მონაწილეობაზე სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და შიდა საგრანტო პროგრამებში. თუმცა, წარმოდგენილი კვლევითი აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელებულ ზოგად სამეცნიერო საქმიანობას. შედარებით ნაკლები მტკიცებულებაა წარმოდგენილი უშუალოდ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების სამედიცინო კვლევებში სისტემური ჩართულობის შესახებ. ამასთანავე, ნათელი არ არის მათი მონაწილეობის მასშტაბი და მიღწეული შედეგების შეფასების მექანიზმები.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გამოიყენება გუნდური მუშაობა, კლინიკური შემთხვევების განხილვა, პრეზენტაციები, დებატები, სიმულაციები და როლური თამაშები.

კომუნიკაციისა და ბიოეთიკის სასწავლო კურსები სათანადო საფუძველს ქმნის პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან და პროფესიული გუნდის სხვა წარმომადგენლებთან ეფექტური ურთიერთობისათვის. თუმცა, წარმოდგენილი მასალებიდან სრულად არ იკვეთება, თუ როგორ ფასდება აღნიშნული უნარების ეტაპობრივი განვითარება და მიღწევა პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე.

შეფასების სისტემა მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციების შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, მათ შორის OSCE/OSPE, Mini-CEX, DOPS, CBD, პორტფოლიოებსა და ლოგბუქებს. აღნიშნული ინსტრუმენტების მრავალფეროვნება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების განხორციელების საფუძველს ქმნის. მიუხედავად ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა უფრო ნათლად იყოს წარმოჩენილი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თანმიმდევრულობა, შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნება და მათი პირდაპირი კავშირი პროგრამის სწავლის კონკრეტულ შედეგებთან.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ და სხვა საერთაშორისო ინიციატივებში, თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებთან და ჩართულია საერთაშორისო კვლევით პროექტებში. აღნიშნული გარემო სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს უქმნის. თუმცაღა, წარმოდგენილი ინფორმაცია ნაკლებად ადასტურებს, რომ საერთაშორისო მობილობისა და კვლევითი თანამშრომლობის არსებული შესაძლებლობები სისტემურად და საკმარისი მოცულობით არის ინტეგრირებული უშუალოდ დიპლომირებულ მედიკოსის პროგრამის სტუდენტების სასწავლო და კვლევით პროცესებში.

საერთო ჯამში, პროგრამა სათანადო ორგანიზაციულ, მატერიალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის. ამავდროულად, ექსპერტთა შეფასებით, ცალკეულ მიმართულებებში არსებული შესაძლებლობებისა და დაგეგმილი აქტივობების შემთხვევაში საკმარისადა არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი უშუალო კავშირის, სტუდენტთა მიღწევების გაზომვისა და შედეგების სისტემური ანალიზის შესახებ მტკიცებულებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მედიცინის სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში რეალური ჩართულობის გაძლიერებას, საერთაშორისო შესაძლებლობების გამოყენებასა და კომპეტენციების ეტაპობრივ შეფასებას.

პროგრამა შეესაბამება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებს კლინიკური სწავლების ბაზების, პაციენტთა რაოდენობისა და სტუდენტთა თანაფარდობის მიმართულებით. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სამ ძირითად კლინიკურ ბაზასთან. აღსანიშნავია, რომ პედიატრიული და გინეკოლოგიური კომპონენტების ფარგლებში კლინიკური სწავლება ხორციელდება ციციშვილის ბავშვთა კლინიკაში, რომლის საწოლფონდი შეადგენს 175 საწოლს, ხოლო პაციენტთა წლიური ნაკადი დაახლოებით 47 300-ს აღწევს, რაც პაციენტის საწოლთან პრაქტიკული სწავლების ფართო შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.
დაწესებულების შესაძლებლობები სათანადოდ შეესაბამება სტუდენტთა დაგეგმილ მისაღებ რაოდენობას (ჯამში 200-მდე სტუდენტი). კლინიკური როტაციები ორგანიზებულია მცირე, 10-12 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში. სასწავლო წლის დაწყებამდე განისაზღვრება სასწავლო განრიგი, აუდიტორიების განაწილება და აკადემიური პერსონალის/მენტორების თანაფარდობა სტუდენტებთან, რათა იყოს კლინიკური სწავლებისთვის საკმარისი სათანადო სივრცე იყოს გამოყოფილი და თავიდან იქნეს აცილებული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და გადაფარვები. ამასთანავე, კლინიკური სასწავლო კურსების ხანგრძლივობა და სტრუქტურაში სჩანს პრაქტიკული სწავლებისა და პაციენტთან უშუალო ურთიერთობისთვის დროის სათანადო განაწილება. მაგალითად, სასწავლო კურსი „გერიატრია და პალიატიური მოვლა“ მოიცავს 8 ECTS კრედიტს, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული 200 საათიდან 140 საათი ეთმობა პაციენტის საწოლთან კლინიკურ სწავლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- კურსის სილაბუსები
- პრაქტიკული, ლაბორატორიული, სიმულაციური და კლინიკური კომპონენტების აღწერა.
- კვლევის სწავლებისა და სიმულაციური ლაბორატორიების აღწერა.
- იმ კურსების სილაბუსები, რომლებიც კვლევის კომპონენტს მოიცავს.

რეკომენდაცები.

- რეკომენდებულია, პროგრამის დონეზე შემუშავდეს და დოკუმენტურად განისაზღვროს სტუდენტთა პრაქტიკული, კლინიკური, კვლევითი და ტრანსფერული უნარების ეტაპობრივი განვითარების მექანიზმი, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს კავშირს უნარებს, პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების კონკრეტულ ინსტრუმენტებს შორის.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ უნდა უზრუნველყოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სისტემური ჩართულობა სამედიცინო და ბიოსამედიცინო კვლევებში, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შეფასების არსებული ინსტრუმენტების თანმიმდევრული და ერთგვაროვანი გამოყენება, შეფასების მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა და მონაცემთა ანალიზი პრაქტიკულ და კლინიკურ კომპეტენციებთან დაკავშირებით სტუდენტების პროგრესის გამოსავლენად და დასადასტურებლად.
- რეკომენდებულია, საერთაშორისო მობილობის და კვლევითი თანამშრომლობის არსებული შესაძლებლობები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს მედიცინის პროგრამას და შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაცვლით, კვლევით და აკადემიურ აქტივობებში აღნიშნული პროგრამის სტუდენტების რეგულარულ მონაწილეობას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სწავლება-სწავლის პროცესის ორგანიზება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება და მოიცავს სამედიცინო განათლებისთვის რელევანტურ, მრავალფეროვან მეთოდებს. პროგრამის აღწერაში წარმოდგენილია სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა ინტერაქციული ლექციები, სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გუნდური მუშაობა, კლინიკური შემთხვევების განხილვა, სიმულაცია, როლური თამაშები, პაციენტთან კომუნიკაციის მოდელირება, პაციენტის საწოლთან სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა და კლინიკური შეფასების ინსტრუმენტები. მიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული მეთოდები შეესაბამება სამედიცინო განათლების თანამედროვე მიდგომებსა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკას.

პროგრამის თანახმად, სწავლება-სწავლის მეთოდები დიფერენცირებულია სწავლების ეტაპების, სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. საბაზისო ეტაპი ორიენტირებულია ფუნდამენტური ცოდნისა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე; პრეკლინიკური ეტაპი აქცენტს აკეთებს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და საწყისი კლინიკური უნარების ჩამოყალიბებაზე; ხოლო კლინიკური ეტაპი მიმართულია კლინიკური მსჯელობის, პროფესიული კომუნიკაციის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, პროგრამის კონცეპტუალური დიზაინი დიდწილად შეესაბამება მის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე პროგრამას სტუდენტები არ ჰყავს. შესაბამისად, ჯერჯერობით შეუძლებელია სწავლება-სწავლის მეთოდების რეალური ეფექტურობის შეფასება სტუდენტთა მიღწევების, უკუკავშირისა თუ საგანმანათლებლო პრაქტიკის საფუძველზე. ექსპერტებთან გამართულმა განხილვებმა ასევე გამოავლინა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და კლინიკური პერსონალის ნაწილი სრულყოფილად არ ფლობს სწავლების კონკრეტული მეთოდების მიზნობრივი გამოყენების პრინციპებს, განსაკუთრებით სწავლების მეთოდებს, სწავლის შედეგებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის ნაწილში. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია მედიცინის პროგრამისათვის, ვინაიდან მხოლოდ მეთოდების ჩამონათვალის საფუძველზე ვერ ჩაითვლება, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც პროგრამაშია დეკლარირებული, ეფექტურად ხორციელდება. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აუცილებელია, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ნათელი კავშირი არსებობდეს სწავლის შედეგს, მის მისაღწევად შერჩეულ სწავლების მეთოდსა და შეფასების შესაბამის ინსტრუმენტს შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლინიკური სასწავლო კურსებისათვის, სადაც პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება და შეფასება უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, დაკვირვებას, უკუკავშირსა და პროგრესის თანმიმდევრულ გადამოწმებას.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, სწავლება-სწავლის მეთოდების დაგეგმილი სისტემა დიდწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და სამედიცინო განათლების სპეციფიკას. თუმცა, პროგრამის პრაქტიკული განხორციელების ეტაპზე აუცილებელი იქნება მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა, პერსონალის გადამზადება და სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგების შეფასებას შორის სისტემური შესაბამისობის ჩამოყალიბება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- კურსის სილაბუსი

რეკომენდაცები.

- რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის დონეზე უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების ნატელი ურთიერთშესაბამისობა, შესაბამისი მატრიცებისა და დოკუმენტირებული დასაბუთების გამოყენებით.
- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედების შემდგომ, ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში, სისტემატურად შეფასდეს სწავლება-სწავლის მეთოდების ეფექტურობა სტუდენტთა მიღწევების, შეფასების შედეგების, სტუდენტთა უკუკავშირის, აკადემიური/კლინიკური პერსონალის შეფასებებისა და სხვა რელევანტური მტკიცებულებების საფუძველზე. მიღებული მიგნებები გამოყენებული იყოს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში (GIU) შემუშავებულია სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათი ყოველდღიური სასწავლო აქტივობების შეფასებას. პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალურად, ისე მოდულების სახით, თითოეული საგნისთვის შესაბამისი ქულების განაწილებით. სასწავლო კურსების ფარგლებში შუალედური გამოცდისთვის გამოყოფილია 20 ქულა, ხოლო კომპეტენციის მინიმალურ ზღვრად განსაზღვრულია 10

ქულა. სტუდენტებთან და ლექტორებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტისა და პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სილაბუსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია. სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი უზრუნველყოფს თეორიული მასალის სრულყოფილ დაფარვას, რაც უშუალოდ უკავშირდება სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სემესტრის დასაწყისში ლექტორები სტუდენტებს აცნობენ სილაბუსსა და შეფასების სისტემას. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტებს შეხვედრა აქვთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ყველა სიახლისა და ცვლილების შესახებ. სტუდენტებსა და ლექტორებს შორის მიმდინარეობს ინფორმაციის უწყვეტი გაცვლა სტუდენტთა აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

უნივერსიტეტში შემუშავებულია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სპეციალური პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნული პოლიტიკა არეგულირებს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენებას სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესებში, მათ შორის ადგენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გამჭვირვალობისა და დეკლარირების მოთხოვნებს. პოლიტიკის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია ასევე უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებსა და აკადემიურ ნაშრომებში. 2 ECTS კრედიტიანი სასწავლო კურსი „კლინიკური კვლევა და ეთიკა“ მოიცავს კვლევის ეთიკის, ინფორმირებული თანხმობის, კონფიდენციალურობის, კვლევის მონაწილეთა დაცვის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის, ავტორობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. უნივერსიტეტში გამოიყენება Turnitin, რაც ხელს უწყობს პლაგიატის პრევენციას. ყველა სტუდენტი ინფორმირებულია შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურის შესახებ. გასაჩივრების პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. უნივერსიტეტი პასუხისმგებლობით ეკიდება ეთიკურ საკითხებს და, შესაბამისად, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ეთიკის კომიტეტი. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს საგამოცდო საკითხების ბანკი, სადაც თავმოყრილი და გადამოწმებულია ყველა ის საგამოცდო შეკითხვა, რომელიც შესაძლოა სტუდენტებს გამოცდებზე შეხვდეთ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწყვეტად ატარებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებს. დამატებით, ცალკე გამოიყოფა კოლეგიალური შეფასება, რომლის ფარგლებშიც ფასდება აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობის კეთილსინდისიერება და ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- კურსის სილაბუსი

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა მოდულის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღნიშნული უზრუნველყოფს

მოდულში შემავალი ყველა კურსის დაბალანსებულ და ეფექტურ შესწავლას, თავიდან აიცილებს რომელიმე კონკრეტული კომპონენტის უგულებელყოფას და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უფრო სრულყოფილად მიღწევას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება:	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში ეფექტურად ფუნქციონირებს როგორც მმართველი (აკადემიური) საბჭო, ისე ფაკულტეტების საბჭოები.

უნივერსიტეტს უწყვეტი კომუნიკაცია აქვს კურსდამთავრებულებთან. ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემატურად იკვლევს მათი დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკითხებს.

ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სტუდენტებს სრული წვდომა გააჩნიათ EBSCO-ს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე. უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს სტუდენტთა სამეცნიერო განვითარებაზე. დაწესებულება გამოსცემს საკუთარ სამეცნიერო ჟურნალს, ხოლო სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შორის აღსანიშნავია სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები აზიის წამყვან ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ა.შ. აზიის ქვეყნების გარდა, უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული

ურთიერთობები აქვს ევროკავშირის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც სტუდენტებს Erasmus+ მობილობის პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. ამასთანავე, GIU მჭიდროდ თანამშრომლობს ჩინეთის წამყვან კლინიკურ ცენტრებთან, რაც სტუდენტებს საერთაშორისო დონეზე პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობებს სთავაზობს.

ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მაღალი კმაყოფილება ორგანიზებულ ვორკშოპებთან მიმართებით, რომლებიც მათ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებად გარდაქმნაში დაეხმარა. სტუდენტებმა ასევე მაღალი შეფასება მისცეს ლექტორების საქმიანობასა და მათ მიერ გაწეულ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია სტუდენტების მიერ სასწავლო მასალის საფუძვლიან ათვისებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სასწავლო გეგმა
- კურსის სილაბუსი

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს განეკუთვნება (მაგისტრატურასთან გათანაბრებული). პროგრამა არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომს ან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისად ამზადებენ კვლევით ნაშრომებს, შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის ხელმძღვანელობით.

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და

განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 71 პერსონალი. აქედან 35 აკადემიური პერსონალია (5 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი და 15 ასისტენტ-პროფესორი), ხოლო 36 - მოწვეული პერსონალი. პერსონალის შერჩევა რეგულირდება „პერსონალის შერჩევის წესით“, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის, არჩევისა და დანიშვნის პროცედურებს. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხორციელდება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე განიხილება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო მეორე ეტაპზე კანდიდატი ატარებს საჩვენებელ ლექციას. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის სულ მცირე ერთი სპეციალისტი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში. მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება გასაუბრების ან საჩვენებელი ლექციის საფუძველზე, შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმების გამოყენებით.

აღნიშნული წესი დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სპეციფიურ მოთხოვნებს ადგენს კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილებისა და ინგლისური ენის ფლობის ნაწილში, რაც მედიცინის დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარეობს.

პერსონალის პირადი საქმეების, CV-ებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლამ, ასევე ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ პერსონალის განათლება, აკადემიური ხარისხები, პროფესიული და კლინიკური გამოცდილება შეესაბამება პერსონალის შერჩევის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს გააჩნია სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობისთვის აუცილებელი კომპეტენციები.

პერსონალის რაოდენობის დაგეგმვა ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება დარგის სპეციფიკის, პერსონალის რეალური ხელმისაწვდომობისა და პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების საჭიროებების გათვალისწინებით. მეთოდოლოგია ასევე ადგენს რაოდენობრივ სამიზნე მაჩვენებლებს, მათ შორის აკადემიურ პერსონალში აფილირებული პერსონალის მინიმალურ წილს .

პერსონალის სამუშაო დატვირთვა რეგულირდება „პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესით“, რომლის თანახმადაც, პროფესორისთვის განსაზღვრულია კვირაში მაქსიმუმ 20 საათი, ასოცირებული პროფესორისთვის - 22 საათი, ასისტენტ-პროფესორისთვის - 24 საათი, ხოლო მოწვეული პერსონალისთვის - 10 საათი. იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელსაც ასევე უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა, სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 18 საათს. დატვირთვის განსაზღვრისას ასევე გათვალისწინებულია პერსონალის სამუშაო დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამასთანავე, ერთ პირს ერთი პროგრამის ფარგლებში შეუძლია განახორციელოს არაუმეტეს ოთხი სასწავლო კურსისა, ხოლო სამუშაო დატვირთვის განაწილებისას უპირატესობა ენიჭება აფილირებულ პერსონალს. აღნიშნული წესი ასევე ითვალისწინებს პერსონალის კვლევით და საკონსულტაციო საქმიანობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის პერსონალის შემთხვევაში დამატებით გამოიყენება სრული განაკვეთის ეკვივალენტის (Full-Time Equivalent, FTE) მოდელი, რომელიც სწავლებას, კვლევას, კლინიკურ სწავლებას, კლინიკურ პროფესიულ საქმიანობასა და ადმინისტრაციულ საქმიანობას ცალკეულ კომპონენტებად აღრიცხავს და გამორიცხავს დატვირთვის ორმაგ დათვლას. შესაბამისად, პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვის რეგულირების მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად განხორციელებას, აგრეთვე კვლევითი და სხვა დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლამ და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებამ აჩვენა, რომ მას შესაბამისი განათლება აქვს მედიცინის მიმართულებით, გააჩნია კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილება და ასევე პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და დარგობრივი კომპეტენცია. იგი ასევე იყო იმ სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელმაც მოამზადა თვითშეფასების ანგარიში და სააკრედიტაციო პაკეტი.

პროგრამის სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია 43 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ფაკულტეტის ადმინისტრაციის გარდა, აღნიშნული პერსონალი წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ურთიერთობების, ბიბლიოთეკის, კარიერული მხარდაჭერისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებს, აგრეთვე ლაბორატორიული და სიმულაციური სივრცეების კოორდინირებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს. აღნიშნული პერსონალი სტუდენტებს აწვდის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ ინფორმაციას, უწევს კონსულტაციებს, ზრუნავს საქმისწარმოებაზე, აორგანიზებს ლაბორატორიული და სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებას, ასევე საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე წვდომას.

ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობებისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის დასაქმება ხორციელდება როტაციის, რეკომენდაციის ან კონკურსის საფუძველზე. შერჩევის პროცესს წინ უძღვის სამუშაო ადგილების კვარტალური ანალიზი და საშტატო განრიგის გადახედვა. კანდიდატების შეფასება ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე, სტანდარტული შეფასების ფორმის გამოყენებით, რომლის კრიტერიუმებიც მოიცავს დარგობრივ კომპეტენციასა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობას. მაქსიმალური შეფასების მინიმალურ ზღვრად 70% ია განსაზღვრული. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ახალი თანამშრომლები მიიღებიან არაუმეტეს ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი 4	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**35**	**35**	**21**	**8**
- პროფესორი	5	5	5	1
- ასოცირებული პროფესორი	15	15	13	4
- ასისტენტ–პროფესორი	15	15	3	3
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	36	31	4	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- „პერსონალის შერჩევის წესი“ (მმართველი საბჭოს 2026 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი №2);
- აკადემიური კონკურსის მასალები;
- „პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესი“ (რექტორის 2022 წლის 14 ივნისის №01-01/42 ბრძანება; ცვლილება შეტანილია 2023 წლის 15 მაისის №01-01/21 ბრძანებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და მისი დანართი №1;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (რექტორის 2026 წლის 14 აპრილის №01-01/35 ბრძანება);
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმები;
- რექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-01/14 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პერსონალის განვითარების გეგმა
- 2026 წლის 27-28 მაისს ჩატარებული ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შიდა კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულება;
- ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სიმულატორების/მანეკენების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;

4ძირითადი
სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დებულება;
- ხარისხის მართვის სისტემიდან (QMS) გენერირებული პერსონალის დატვირთვის სახელობითი ანგარიში;
- კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2026–2032);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს ვებგვერდი: https://giu.edu.ge/programs/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურის კვლევით კომპონენტს ან ნაშრომის ხელმძღვანელობას. შესაბამისად, სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი არ შეფასებულა.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება რეგულირდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესით“. აღნიშნული წესი განსაზღვრავს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. შეფასება ხორციელდება განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ დამტკიცებული ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასების პროცესი მოიცავს აკადემიური პერსონალის მიერ საკუთარი კვლევითი საქმიანობის ყოველწლიურ თვითშეფასებას, სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის და სტუდენტთა ანონიმურ შეფასებებს. აღნიშნულ პროცესს ასევე ავსებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვება, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციები მუშავდება ცალკეული სასწავლო კურსების ან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

კვლევითი საქმიანობის შეფასების ქულებსა და შესაბამის დამადასტურებელ მტკიცებულებებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია ამოწმებს. „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ განსაზღვრავს თითოეული აქტივობის შესაბამის ქულასა და სამიზნე ნიშნულებს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ამუშავებს შეფასების მონაცემებს და თითოეულ თანამშრომელს ინდივიდუალურად აცნობს მიღებულ შედეგებს. შედეგების საბოლოო ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, ხოლო კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს კვლევის მხარდაჭერის ცენტრი. საჭიროების შემთხვევაში, ორივე სტრუქტურული ერთეული შეიმუშავებს გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას. შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები განვითარებაზეა ორიენტირებული. სამიზნე მაჩვენებლის მიუღწევლობა ავტომატურად არ იწვევს უარყოფით შედეგებს; არამედ მუშავდება გაუმჯობესების გეგმა. მაღალი შედეგების მქონე პერსონალის წახალისება ხორციელდება ფინანსური ბონუსის, შრომის ანაზღაურების გაზრდის ან ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების გზით. პერსონალს უფლება აქვს, შეფასების შედეგებთან დაკავშირებით წარადგინოს შენიშვნები ან დამატებითი მტკიცებულებები. განსაზღვრულია აღნიშნული მიმართვების განხილვის ვადებიც. სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასება ანონიმური და კონფიდენციალურია. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული პასუხების რაოდენობა არაა საკმარისი, შეფასების შედეგები გამოიყენება მხოლოდ დამხმარე ინდიკატორის სახით.

ამრიგად, უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის რეგულარული შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის სისტემური მექანიზმი, რომელიც ინფორმაციის მრავალ წყაროს ეფუძნება და დაკავშირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვის პროცესთან. ვინაიდან პროგრამა ახალია, ხოლო „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ 2026 წლის აპრილშია დამტკიცებული, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიას, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციას. ტრენინგების ორგანიზებასა და დაფინანსებას უზრუნველყოფენ პროფესიული განვითარების ცენტრი და კვლევის მხარდაჭერის ცენტრი. 2026 წლის მაისში უნივერსიტეტმა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის დააფინანსა ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდების (OSCE/OSPE, PBL) მიმართულებით. ტრენინგი ჩაატარა სამედიცინო განათლების სპეციალისტმა, რომელსაც აქვს დიპლომირებული მედიკოსისა (MD) და ფილოსოფიის დოქტორის (PhD) ხარისხები, აგრეთვე დარგში მრავალწლიანი გამოცდილება. ტრენერი არის სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის (AMEE) ასოცირებული წევრი (AFAMEE) და FAIMER-ის სტიპენდიატი (FAIMER Fellow), ასევე ხელმძღვანელობს მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას. მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს

აკრედიტაციასა და ხარისხის უზრუნველყოფას, პროგრამების შეფასებასა და აკადემიურ მართვას. ამასთანავე, ტრენერი არის მედიცინის დარგობრივი საბჭოს წევრი და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ერთ-ერთი ავტორი. შესაბამისად, ტრენინგის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია შეესაბამება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, პერსონალი ვალდებულია, ორ წელიწადში ერთხელ გაიაროს ტრენინგი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რასაც საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს პერსონალის კვლევით საქმიანობას. აფილირებული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ფარგლებში გამოყოფილია კვლევისთვის განკუთვნილი დრო, ხოლო პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლების 15% კვლევითი საქმიანობის დაფინანსებაზეა მიმართული.

ამრიგად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და უზრუნველყოფს მათი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას. ამავდროულად, უნივერსიტეტის ამჟამინდელი კვლევითი პროფილი (კონფერენციები, სამეცნიერო ჟურნალი, საგრანტო პროექტები) ძირითადად სამართლის, ეკონომიკის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებზეა ორიენტირებული. შესაბამისად, პროგრამის ამოქმედებასთან ერთად, სასურველია, მიზნობრივად გაძლიერდეს ბიოსამედიცინო და კლინიკური კვლევების მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- „პერსონალის შერჩევის წესი“ (მმართველი საბჭოს 2026 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი №2);
- აკადემიური კონკურსის მასალები;
- „პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესი“ (რექტორის 2022 წლის 14 ივნისის №01-01/42 ბრძანება; ცვლილება შეტანილია 2023 წლის 15 მაისის №01-01/21 ბრძანებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და მისი დანართი №1;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (რექტორის 2026 წლის 14 აპრილის №01-01/35 ბრძანება);
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმები;
- რექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-01/14 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პერსონალის განვითარების გეგმა
- 2026 წლის 27-28 მაისს ჩატარებული ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შიდა კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულება;
- ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სიმულატორების/მანეკენების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დებულება;
- ხარისხის მართვის სისტემიდან (QMS) გენერირებული პერსონალის დატვირთვის სახელობითი ანგარიში;

- კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2026–2032);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს ვებგვერდი: https://giu.edu.ge/programs/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის კამპუსში, რომელიც მდებარეობს თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეწვივნენ სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, სიმულაციურ სივრცეებსა და OSCE სადგურებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ოთახებსა და საკონფერენციო დარბაზს. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში მოწყობილია შემდეგი სპეციალიზებული სივრცეები: პათოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია; ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორია და სიმულაციური ლაბორატორიები. ლაბორატორიები აღჭურვილია მიკროსკოპებითა და სათანადო მასალით. ანატომიის სწავლებისას გამოიყენება ვირტუალური რეალობის (VR) პროგრამა და Elsevier-ის ციფრული პლატფორმა „Complete Anatomy“. სიმულაციური სივრცეები აღჭურვილია მანეკენებით, მოდელებითა და სიმულატორებით. ადგილზე დათვალიერებამ და წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის შესწავლამ დაადასტურა, რომ სიმულაციური აღჭურვილობა შეესაბამება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის №1 დანართით რეკომენდებულ ჩამონათვალს.

ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ OSCE გამოცდების ჩასატარებლად გამოყოფილია 8 (რვა) ფიზიკური სადგური. დაწესებულების განმარტებით, დამატებით გათვალისწინებულია 2 (ორი) ვირტუალური სადგური, რაც ჯამში შეადგენს დასკვნითი გამოცდებისთვის დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილ 10 (ათ) სადგურს. საერთაშორისო პრაქტიკისა და არსებული მტკიცებულებების თანახმად, ვირტუალური სადგურები მიზანშეწონილია მხოლოდ იმ კომპეტენციების შესაფასებლად, რომელთა დემონსტრირებაც შესაძლებელია ციფრულ გარემოში, მაგალითად, ანამნეზის შეკრება, კომუნიკაცია, კლინიკური მსჯელობა, მონაცემთა ინტერპრეტაცია და მართვის გეგმის შემუშავება. აღნიშნული სადგურები არ არის შესაფერისი ფიზიკური გასინჯვის ან პროცედურული უნარებისათვის. ამასთანავე, ვირტუალური სადგურების გამოყენების შემთხვევაში, შეფასების სანდოობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტაბილური ციფრული პლატფორმის არსებობა, კლინიკური მასალების სტანდარტიზებული მიწოდება, მოქმედების წინასწარ განსაზღვრული პროცედურები ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში, აგრეთვე შემფასებლებისა და სიმულირებული პაციენტების წინასწარი მომზადება. ასევე, გამოცდის მიმდინარეობისას ვირტუალურ სადგურებზე ტექნიკურმა შეფერხებებმა ან გამოცდის ჩატარების პირობების არაერთგვაროვნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კანდიდატებისთვის შეფასების პირობების სტანდარტიზებას და გამოცდის ჩაბარება-ვერ ჩაბარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ვირტუალური სადგურების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ციფრული ინფრასტრუქტურისა და პროცედურების დანერგვა და მათი გამოყენება უნდა შეზღუდოს მხოლოდ იმ კომპეტენციების შეფასებით, რომლებიც აღნიშნულ ფორმატს შეესაბამება, ან ჩაანაცვლოს ისინი ფიზიკური სადგურებით. ორივე მიდგომა უზრუნველყოფს ყველა კომპეტენციის შეფასებას სათანადო ვალიდურობითა და სანდოობით.

სასწავლო პროცესში გამოიყენება კომპიუტერები, პროექტორები, აუდიოვიზუალური აღჭურვილობა, ინტერნეტი, ელექტრონული სასწავლო პლატფორმები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და სიმულაციური ტექნოლოგიები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emisadmin.giu.ge, რომლის მეშვეობითაც იტვირთება სასწავლო მასალები, გაიცემა, სრულდება და ფასდება ყოველკვირეული დავალებები, ხორციელდება უკუკავშირის მიწოდება და სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგი.

ლაბორატორიულ და სიმულაციურ სივრცეებში სწავლება ორგანიზებულია ბიოუსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესების დაცვით.

პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კლინიკური მიმართულებების მომცველ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. სტუდენტებსა და პერსონალს ასევე აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობას. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი რესურსებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- „პერსონალის შერჩევის წესი“ (მმართველი საბჭოს 2026 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი №2);
- აკადემიური კონკურსის მასალები;
- „პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესი“ (რექტორის 2022 წლის 14 ივნისის №01-01/42 ბრძანება; ცვლილება შეტანილია 2023 წლის 15 მაისის №01-01/21 ბრძანებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და მისი დანართი №1;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (რექტორის 2026 წლის 14 აპრილის №01-01/35 ბრძანება);
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმები;
- რექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-01/14 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პერსონალის განვითარების გეგმა
- 2026 წლის 27-28 მაისს ჩატარებული ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შიდა კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულება;
- ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სიმულატორების/მანეკენების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დებულება;
- ხარისხის მართვის სისტემიდან (QMS) გენერირებული პერსონალის დატვირთვის სახელობითი ანგარიში;
- კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2026–2032);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს ვებგვერდი: https://giu.edu.ge/programs/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა ან უზრუნველყოს ვირტუალური OSCE სადგურების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ციფრული ინფრასტრუქტურისა და პროცედურების შემუშავება და მათი გამოყენება შეზღუდოს მხოლოდ იმ კომპეტენციების შეფასებით, რომელთა დემონსტრირებაც შესაძლებელია ციფრულ გარემოში, ან ჩაანაცვლოს 2 (ორი) ვირტუალური სადგური ფიზიკური სადგურებით, რათა OSCE-ის დასკვნით გამოცდაზე თითოეული კომპეტენციის შეფასება იყოს ვალიდური და სანდო.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს და გაამრავალფეროვნოს საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომი იყოს თანამედროვე კვლევითი რესურსები და ლიტერატურა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი დაგეგმილია უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და ფინანსური მართვის პრინციპების შესაბამისად და უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთანაა დაკავშირებული. ბიუჯეტი მოიცავს ექვს სასწავლო წელს, 2026–2027 წლიდან 2031–2032 წლამდე პერიოდს, რაც პროგრამის სრულ ხანგრძლივობას წარმოადგენს.

შემოსავლების წყაროს შეადგენს სწავლის საფასური. საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლის წლიური საფასური შეადგენს 3 800 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის - 5 800 აშშ დოლარს. პირველ წელს აღნიშნულ შემოსავალს ემატება 130 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია.
პროგრამის ბიუჯეტის თანახმად, ყოველწლიურად გათვალისწინებულია დადებითი საოპერაციო შედეგი. ხარჯვითი მუხლები მოიცავს პროგრამის ყველა ძირითად მიმართულებას: ადამიანურ რესურსებს, პერსონალის პროფესიულ განვითარებას, კვლევას, საინფორმაციო რესურსებს, მატერიალურ რესურსებს, სტუდენტთა მხარდაჭერასა და სხვა ხარჯებს.

ბიუჯეტის სტრუქტურა ასახავს პროგრამის ეტაპობრივ განვითარებას. კლინიკურ ბაზებზე სტუდენტთა პრაქტიკისა და კურაციის ხარჯები გათვალისწინებულია მესამე სასწავლო წლიდან (2028–2029) და ეტაპობრივად იზრდება 22 500 ლარიდან 90 000 ლარამდე. აღნიშნული შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს, რომლის თანახმადაც პრეკლინიკური და კლინიკური კომპონენტები მეხუთე სემესტრიდან იწყება. პირველ წელს ძირითადი ინვესტიცია მიმართულია სასწავლო აღჭურვილობის შეძენაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საწყისი მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.
ბიუჯეტის პროგნოზი ეფუძნება პირველ წელს 30 ახალი სტუდენტის, ხოლო მომდევნო წლებში ყოველწლიურად 35 ახალი სტუდენტის მიღების დაშვებას. ამასთანავე, გათვალისწინებულია სტუდენტთა პროგრესიის 90%-იანი მაჩვენებელი პირველი წლიდან და 95%-იანი მაჩვენებელი შემდგომ წლებში. ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი (კვლევა, სტუდენტთა წახალისება და სხვა ხარჯები) განსაზღვრულია შემოსავლების ფიქსირებული პროცენტული წილის სახით. შესაბამისად, ხარჯები ავტომატურად კორექტირდება ფაქტობრივი შემოსავლების მიხედვით, რაც ზრდის ბიუჯეტის რეალისტურობასა და ფინანსურ მდგრადობას. ფინანსური რესურსების გამოყენება ექვემდებარება შიდა მონიტორინგს, ხოლო მიღებული ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- „პერსონალის შერჩევის წესი“ (მმართველი საბჭოს 2026 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი №2);
- აკადემიური კონკურსის მასალები;
- „პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესი“ (რექტორის 2022 წლის 14 ივნისის №01-01/42 ბრძანება; ცვლილება შეტანილია 2023 წლის 15 მაისის №01-01/21 ბრძანებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და მისი დანართი №1;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ (რექტორის 2026 წლის 14 აპრილის №01-01/35 ბრძანება);
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმები;
- რექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-01/14 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პერსონალის განვითარების გეგმა
- 2026 წლის 27-28 მაისს ჩატარებული ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შიდა კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულება;
- ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სიმულატორების/მანეკენების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დებულება;
- ხარისხის მართვის სისტემიდან (QMS) გენერირებული პერსონალის დატვირთვის სახელობითი ანგარიში;
- კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (2026–2032);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს ვებგვერდი: https://giu.edu.ge/programs/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს ბიუჯეტის ალტერნატიული სცენარები სტუდენტთა დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით ჩარიცხვის შემთხვევისთვის, რადგან პროგრამის ბიუჯეტი შემოსავლის მხოლოდ ერთ წყაროს (სწავლის საფასურს) ეფუძნება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალის თანამშრომლობას.

პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით განსაზღვრულია შეფასების ძირითადი მიმართულებები, მონაცემთა წყაროები, შეფასების ინსტრუმენტები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწაში, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლებისგან უკუკავშირის მიღების, სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შეფასების, ასევე პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებაში.

პროგრამის სამედიცინო სპეციფიკის გათვალისწინებით, ხარისხის შეფასების სისტემა მოიცავს პრაქტიკული და კლინიკური უნარების შეფასების ინსტრუმენტებს, როგორიცაა OSCE/OSPE, ლოგბუქები (Logbooks), Mini-CEX, DOPS და CBD. ასევე განსაზღვრულია სწავლება-სწავლის პროცესის, შეფასების სისტემის, პერსონალის კვალიფიკაციის, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების, აგრეთვე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიმართულებები.

ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე პროგრამას სტუდენტები არ ჰყავს. შესაბამისად, ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული მონაცემები სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა უკუკავშირის, სასწავლო კურსების შეფასებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რეალური მიღწევის შესახებ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული განხორციელებისა და მათი შედეგების გამოყენების სრულყოფილი შეფასება შესაძლებელი მხოლოდ პროგრამის ამოქმედებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის შემდეგ იქნება .

ამ ეტაპზე იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების წინასწარ განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუმენტების მომზადების პრაქტიკა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა პროგრამის ამოქმედების შემდგომ მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის წარმართვის საფუძველს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. კერძოდ, შეფასების შედეგების საფუძველზე დაგეგმილია სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტების, პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტებისა და რესურსების პერიოდული შეფასება და გაუმჯობესება. თუმცაღა, სტუდენტთა არარსებობის გამო, ამ ეტაპზე შეუძლებელია აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობის რეალური შედეგების საფუძველზე შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ უნივერსიტეტის პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედების და სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტმა სისტემურად გააანალიზოს სტუდენტების უკუკავშირი, აკადემიური პროგრესი და სწავლის შედეგების მიღწევის მონაცემები, ხოლო აღნიშნული მიგნებები ასახოს პროგრამის განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებში.
- რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედებისთანავე შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების მონიტორინგისა და მათი ეფექტურობის შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა პერიოდულად აანალიზებს გარე ხარისხის შეფასების, მიღებული რეკომენდაციების შესრულების შედეგებს, რომელსაც იყენებს პროგრამის განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მასალები ადასტურებს გარე შეფასების შედეგების გამოყენების ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას. პროგრამაში გათვალისწინებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები, შესაბამისი დარგის წარმომადგენელთა უკუკავშირი, კლინიკურ სასწავლო ბაზებთან თანამშრომლობის შედეგები და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი.

თუმცა, პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობის სრულყოფილი შეფასება შეზღუდულია, ვინაიდან ამჟამად პროგრამაზე მედიცინის სტუდენტები არ ირიცხებიან. შესაბამისად, ჯერჯერობით შეუძლებელია გარე შეფასების შედეგების გავლენის შეფასება სტუდენტთა რეალურ აკადემიურ და კლინიკურ მიღწევებზე. ამასთანავე, ამ ეტაპზე კლინიკური სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება ძირითადად წინასწარ დაგეგმილ პროცედურებს ეფუძნება და არა მათი პრაქტიკული განხორციელების რეალურ შედეგებს.

პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია, გარე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გარდაიქმნას გაუმჯობესების კონკრეტულ, გაზომვად ღონისძიებებად, რომელთა განხორციელებისთვისაც განსაზღვრული იქნება შესაბამისი ვადები. უნდა მოხდეს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დოკუმენტირება და დაუკავშირდეს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის ინდიკატორების მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუები უნივერსიტეტის პერსონალთან
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაცები.

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარე შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგი. უნივერსიტეტმა თითოეული რეკომენდაციისთვის უნდა

განსაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადა და შედეგის გაზომვადი ინდიკატორები. აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს პროგრამის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში და უნდა განხორციელდეს მისი პერიოდული გადახედვა.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო შედარებითი ანალიზის შედეგების მტკიცებულებებზე დაფუძნებული გამოყენება. შედარება უნდა განხორციელდეს კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა სწავლის შედეგები, კურიკულუმის სტრუქტურა, შეფასების სისტემა, კლინიკური სწავლება და სტუდენტთა მხარდაჭერა. გამოვლენილი განსხვავებები კი უნდა აისახოს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

წარმოდგენილი მასალებისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუში შემუშავებულია დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ინსტიტუციური მექანიზმები. აღწერილი მექანიზმები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში და ითვალისწინებს პროგრამის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, კლინიკური პარტნიორებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

მონიტორინგის ჩარჩო მოიცავს პროგრამის ძირითად კომპონენტებს, მათ შორის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, კურიკულუმს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასებას, ადამიანურ და

მატერიალურ რესურსებს, სტუდენტთა მხარდაჭერას, აგრეთვე სამედიცინო განათლების პრაქტიკულ და კლინიკურ კომპონენტებს. სტუდენტთა და პერსონალის უკუკავშირის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების, აკადემიური მოსწრების მონაცემების, სასწავლო კურსების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშების გამოყენება სათანადო საფუძველს ქმნის პროგრამის მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარებისთვის.

სათანადო ყურადღება ეთმობა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკურ და პრაქტიკულ ასპექტებს, მათ შორის კლინიკური უნარების, კლინიკური მსჯელობის, კომუნიკაციისა და პროფესიული ეთიკის განვითარებას, აგრეთვე შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა OSCE/OSPE, Mini-CEX, DOPS, CBD, პორტფოლიოები და ლოგბუქები. აღნიშნული მექანიზმები რელევანტურია როგორც თეორიული ცოდნის, ისე კლინიკური კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარების შესაფასებლად.

შეფასების განხორციელების პერიოდში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებოდნენ. შესაბამისად, მონიტორინგის სტუდენტზე ორიენტირებული მექანიზმების, მათ შორის სტუდენტთა გამოკითხვების, სტუდენტთა მიღწევების ანალიზის, სასწავლო კურსების შეფასებისა და კლინიკური განათლების შესახებ უკუკავშირის ეფექტურობის სრულყოფილი დემონსტრირება პრაქტიკაში ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არსებული მტკიცებულებები, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს მონიტორინგისა და შეფასების ციკლის განხორციელებისთვის დაწესებულების მზაობასა და დაგეგმილ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და არა აღნიშნული ციკლის სრულფასოვან პრაქტიკულ ეფექტურობას დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ ჯიუს აქვს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის გამოცდილება, რაც შესაძლოა სათანადო საფუძველს ქმნიდეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვისთვის. თუმცა, არსებული ინსტიტუციური გამოცდილების სამედიცინო განათლებაში გადატანა უნდა დასტურდებოდეს პროგრამის სპეციფიური მტკიცებულებებით, განსაკუთრებით სტუდენტთა ჩარიცხვისა და კლინიკური სწავლების განხორციელების შემდგომ.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმილი ციკლი, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, ანალიზსა და გაუმჯობესებას, სათანადოა. თუმცაღა, მისი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მონიტორინგის შედეგად ნათლად უნდა დოკუმენტირდეს გამოვლენილი პრობლემები, მიღებული გადაწყვეტილებები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები და შემდგომში, მაკორექტირებელი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასების შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუ უნივერსიტეტის პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო, რომელში განსაზღვრული იქნება მკაფიო ინდიკატორები, მონაცემთა წყაროები, პასუხისმგებლობები, ვადები და გაუმჯობესების ქმედებების დოკუმენტირების და მონიტორინგის პროცედურები.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტმა სისტემატურად შეაგროვოს და გააანალიზოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და კლინიკური პარტნიორებისგან მიღებული მონაცემები და მტკიცებულებები და წარმოაჩინოს, თუ როგორ აისახება მიღებული მიგნებები პროგრამის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებში. განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა შემდგომში უნდა შეფასდეს დოკუმენტირებული უკუკავშირის მექანიზმის გამოყენებით, რათა მონიტორინგი წარმოადგენდეს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინფორმაციის პერიოდული შეგროვებით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია